# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 თებერვალი, 2010 წელი.

№30 (6396)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## ვინ დგას „კარტოფილის მაფიის“ უკან?



6

ჯავახელებმა მთავრობას „ნობათი“ გამოუგზავნეს



ირაკლი ალასანია:

## ჩვენ აუცილებლად გავერთიანდებით და მერე აღარ დავიშლებით!

2

## ჯანდაცვას მკურნალობა სჭირდება

3

## დევნილები ერთმანეთს უპირისპირდებიან...

2




## „იმედის“ ჯოჯოხეთი!

4



5

## მერის კულტურას ქუჩაც განსაზღვრავს



3

## როცა ნაურუს პრეზიდენტი ვერავინ დალანდა...



## „ბინდი“

ანუ ახალგაზრდა თაობის გონების დაბინდვის ერთ-ერთი ხერხი

4

## ქურდული გაგების გამგებელი და დაზარალებული მოსახლეობა

11

## სიდუხჭირის თხუთმეტი წელი-წადი



7



5

## კარკაში „ქმრის მოჭერის“ ქამს



## ლიბერალური ეკონომიკა თუ გამჭვირვალე ყაჩაღობა?!

7

საწვავმა ხალხის ბიუჯეტი გადაწვა

**თბილისის მერობის კანდიდატები**

# ირაკლი ალასანია:

# უკან არასგზით არ დავიხევთ!

**„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია, როგორც პოლიტიკოსი, რიგითი ქართველი და მიხეილ სააკაშვილის ყველაზე გაწონასწორებული ოპოზიციონერი, დღითი დღე იზრდება. ამის საშულებას მას აძლევს წლების განმავლობაში თვით სააკაშვილის გუნდში ყოფნა და „ვარდების რევოლუციის“ თვითმარქვია ლიდერის ექვსწლიანი არაადეკვატური მოქმედებების პირისპირ ხილვა.**

როცა გულშემატკივრის თვალით და გონებით გავაანალიზე 15 თებერვალს მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრში ქართველ საზოგადოებასთან ირაკლი ალაანიას შეხვედრის მიზანი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ ახალგაზრდა კაცს, უპირველეს ყოვლისა, შინაგანი სინდისი ქენჯნის, თავის დროზე რომ ვერ მიხვდა, ვინ იყო თვითონ სააკაშვილი და მისი ზოგიერთი მხარდამჭერი. დარბაზში იმდენად სერიოზული საზოგადოება შეიკრიბა, რომ „ალიანსის“ ლიდერისთვის არავის დაუყვედრებია ეს წარსული, მაგრამ... ჭკვიანმა და პრინციპულმა ქალბატონმა, დამსახურებულმა არტისტმა **მარინე ჯანაშიამ** გულწრფელად უთხრა: **ქართველი ხალხი არავითარ შემთხვევაში არ გაპატიებთ ელემენტარულ შეცდომებს, სიტყვის გატეხას და ჩვენი იმედების გაწბილებას!**

მთავარი პირობა, რომელიც დედაქალაქის მერობის კანდიდატმა ხალხს მისცა, ის იყო, რომ **ოპოზიციის ყველაზე ჯანსაღი ნაწილი აუცილებლად გაერთიანდება და უახლოეს დღეებში ისეთ დამაჯერებელ პროგრამას წარუდგენენ თბილისელებს, მერის არჩევნებს აუცილებლად მოიგებენ.**

— დღევანდელი საარჩევნო კოდექსი, მასში შეტანილი ცვლილებები და ერთმმართველი ნაციონალებისგან უკვე დაწყებული გაყალბების პროცესი ამის საშუალებას რომ არ იძლევაო? — დაინტერესდა დარბაზი.

— თუნდაც დღევანდელი არასრულყოფილი საარჩევნო პირობების, გაყალბების მცდელობის, ამომრჩეველთა მოსყიდვის, დაშინების და სხვა მრავალი მამაძაღლობის მიუხედავად, **თბილისში არჩევნებს ჩვენ მოვიგებთ,** რადგანაც ოპოზიციის გაერთიანების პროცესი, კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, თითქმის დამთავრებულია და იმის გარანტიასაც გაძლევთ, რომ **თითოეული ამომრჩევლის ხმას ბოლომდე დავიცავთ...** თანაც, არჩევნების გაყალბების თუნდაც ერთი კონ-



კრეტული ფაქტის შემთხვევაში, არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია და სააკაშვილის „მეგობარი“ ქვეყნები გამყალბებლებს მხარს არ დაუჭერენო, — დარწმუნებულია ირაკლი.

— მთავარი მაინც ჩვენი ხალხის აქტიურობა და მონდომებაა. ძალიან ადვილია იმის დანახვა, რომ არჩევნები გაგვიყალბეს. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ თუ ეს ასე მოხდა, მეორე დღესვე **უნდა დავდგეთ სახელმწიფო დაწესებულებებთან და გამყალბებლები ძველ კაბინეტებში აღარ შევუშვათ,** — თქვა პოეტმა **დათო მაღრაძემ.**

— ამომრჩევლის ღირსების დაცვა ყველას გვევალება, მაგრამ... თუ ქუჩის აქციებამდე მივიდა საქმე, ხელისუფლება ნაცადი მეთოდით ისევ დაგვარბევს. მაშინ რას იზამთ? — არ ცხრება დარბაზი.

**— ჩვენ უკან არასგზით არ დავიხევთ. ყველა შესაძლო გართულებისთვის მზად ვართ. აგვისტოს ომში დამარცხებული და ბოლომდე ნიღაბჩამოხდილი ავტორიტარული ხელისუფლება აქციების დარბევას ვერ გაბედავს, რადგან ეს საბოლოოდ დაასამარებს,** — გვიპასუხებს ირაკლი ალასანია.

— თუ მართლა გსურთ არჩევნები მოიგოთ და თბილისელთა უმრავლესობის ნება-სურვილი აღასრულოთ, ჯერ აუცილებლად გაერთიანდით, მერე... თუ გნებავთ, დაიშალეთ, — ურჩია „ალიანსის“ ლიდერს პროფესორმა **ბიძინა სავანელმა.**

**— ჩვენ აუცილებლად გავერთიანდებით და მერე აღარ დავიშლებით!** — დააიმედა თავისი პროფესორი ყოფილმა მოსწავლემ...

— ხალხი შიშობს, ირაკლის ცოტა აკლია პოლიტიკური ქარიზმა და შეტევის უნარიო! — გულწრფელად შენიშნა პროფესორმა **თემურ ნანეიშვილმა.**

— სერიოზული „შეტევის“ დრო დადგება, ბატონო თემურ, კონკრეტულ საქმესა და ცოდნაზე დამყარებული, გაწონასწორებული პოლიტიკა ამ მარაზმული ხელისუფლების მოშორების ყველაზე მისაღები ფორმაა. სერიოზულ პოლიტიკასთან სააკაშვილის არაადეკვატურმა დამოკიდებულებამ, ხელისუფლების უგუნურებამ, სიცრუემ და სიყალბემ სადამდე მიგვიყვანა ხომ ვხედავთ?..

**შეუძლებელია ამ შეფასებაში არ დაეთანხმო ირაკლი ალასანიას.**

**შეხვედრაზე სერიოზული დიალოგი გაიმართა რუსეთთან ურთიერთობის აუცილებლობის, აფხაზი და ოსი ხალხების საქართველოსკენ შემობრუნების, ქვეყანაში მიმდინარე ანტიეროვნული რეფორმების, სოციალური და საგანმანათლებლო სფეროთა გაჯანსაღების პრობლემებზე. დიალოგში თითქმის მთელი დარბაზი მონაწილეობდა.**

**შეხვედრაზე ბლომად იყვნენ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებიც. რა თქმა უნდა, ისინი ძველებურად არ აქტიურობდნენ... საინტერესოა, რა ამბავს დაახვედრებენ ვანკუვერიდან დაბრუნებულ პრეზიდენტს... თუმცაღა, რა აზრი აქვს, ის ხომ არავის არ უსმენს და მხოლოდ დიალოგის „რეჟიმში“ ბაქიბუქობს და თვალებს უბრმავებს მტრებს, შინაურსაც და გარეულსაც...**

**სპარტაკ ქობულია**

**ბრიფინგი**

# რა შედეგს მოგვცემს პროგრამა „კარდაკარ“?

**სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები ამომრჩეველთა სიების უზუსტობის გამო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ უკმაყოფილებას რომ გამოთქვამენ, ცნობილია. და სწორედ ამასთან დაკავშირებით რამდენიმე პოლიტიკური პარტიის განცხადების გამო ცესკოს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა ბრიფინგი გამართა.**

მისი თქმით, სიებში ნამდვილად არის გარკვეული უზუსტობები, მაგრამ არა უმეტეს საერთო რაოდენობის ერთი პროცენტისა. მან პოლიტიკურ პარტიებს სთხოვა, რომ მედიასაშუალებებით განცხადების მეზა ამ პროგრამაში მონაწილე პარტიების აქტიურობას და სამომავლო თანამშრომლობისთვის სრულ მზადყოფნას გამოთქვამს“, — განაცხადა ხარატიშვილმა.

თუმცა, როგორც გაირკვა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2010 წლის 1 თებერვლისთვის 3 677 795 მოქალაქის მონაცემი გადასცა, მისი დამუშავების შემდეგ კი, ამ ეტაპისათვის ბაზაში 3 587 425 საარჩევნო უფლებების მქონე მოქალაქის მონაცემია წარმოდგენილი. მონაცემთა ბაზიდან ამოღებულია მოქალაქეთა კატეგორიაში აფხაზე-



გაკეთებასთან ერთად აღმოჩენილი ხარვეზები ცესკოში წარადგინონ წერილობით ან, სასურველია, იმ სარეკომენდაციო ფორმით, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს გადაეცათ, რათა ცესკომ დროულად შეძლოს შეცდომების გასწორება.

როგორც ზურაბ ხარატიშვილმა აღნიშნა, თუ პოლიტიკური პარტიები ხარვეზებზე წერილობით შეატყობინებენ ცესკოს, იგი აუცილებლად დაუკავშირდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და მასთან ერთად სიებთან დაკავშირებულ ხარვეზებს დროულად აღმოფხვრის.

„სწორედ ამგვარი ხარვეზების გამოსავლენად ტარდება პროგრამა „კარდაკარ“, რისთვისაც ამ თვის დასაწყისში ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიებისთვის 1 მილიონ 200 000 ლარი გამოიყო. ცესკო მიესალ-

თიდან დევნილი (სტატუსის გარეშე), უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეები, უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და გარდაცვლილები.

ამომრჩეველთა სიების მონიტორინგისთვის ცესკოს მონაცემთა ბაზას გადასცემს ნებისმიერ დაინტერესებულ პოლიტიკურ პარტიასა თუ მოქალაქეს.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია კი ამომრჩეველთა სიების მონიტორინგის ვადის ერთი თვით გახანგრძლივებას ითხოვს, რადგან, მისი თქმით, იმის გამო, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ჩასწორებული სიები დაგვიანებით მიიღეს, 15 მარტამდე დარჩენილი დრო სიების სრული მონიტორინგისთვის საკმარისი არ არის.

**ხატია მუსერიძე**

**აქცია**

# „შანსის“ რედაქციამ პატივი მიაგო გარდაცვლილი თავისუფალი სიტყვის ხსოვნას

**გუშინ, საქართველოს პარლამენტის წინ გაზეთ „შანსის“ აქცია გაიმართა, დევიზით „წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ საქართველოში გარდაცვლილი თავისუფალი სიტყვის ხსოვნას“.**

— „შანსის“ ჟურნალისტებმა და ჩვენი გაზეთის მკითხველებმა გადავწყვიტეთ პროტესტის მშვიდობიანი ფორმისთვის მიგვემართა, — გვითხრა გაზეთ „შანსის“ რედაქტორმა ბონდო ქურდაძემ, — წუთიერი დუმილით გვინდა პატივი მივაგოთ გარდაცვლილი თავისუფალი სიტყვის ხსოვნას. ე. წ. სახელისუფლებო ტელეარხები აგრძელებენ სიცრუის „ბანერირებას“.



მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საზოგადოებას ვაცნობო, რომ „შანსის“ რედაქციამ ამ ორიოდე დღის წინათ უკვე მოაწყო მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, რაც გამოიხატა გაზეთის დაბლოკილი, უკან დაბრუნებული ასეულობით ეგზემპლარის მეტროს სადგურებთან უფასოდ დარიგებაში.

ბონდო ქურდაძე თავად დაუკავშირდა ქართული ტელეარხების საინფორმაციო სამსახურებს და გაშუქება სთხოვა. მხოლოდ „მაესტროს“ გადამღები ჯგუფი მივიდა. დანარჩენმა ტელეარხებმა „ყურები დაიხშეს“, „თვალები დაიბრმავეს“ და „პირში წყალი ჩაიგუბეს“.

— მადლობას ვუხდით, მივესალმებით „მაესტროს“ თანადგომისთვის, ყველა დანარჩენ თავისუფლად მოაზროვნე კოლეგას და მოვუწოდებ: — მეგობარო, უფრო გაბედული იყავი! გამოვაცხადოთ საყოველთაო კონსოლიდაცია! თორემ ვახტანგ კომახიძე არ არის ბოლო, შემდეგი შეიძლება შენ იყო“, — გვითხრა ბონდო ქურდაძემ.

**ეკა მაშიანოვა**

**პარლამენტი**

# დევნილები ერთმანეთს უპირისპირდებიან...

## რატომ იჩენს სიფრთხილეს სუბელიანის უწყება?

**ბოლო მონაცემებით საქართველოში სულ 232 ათასი იძულებით გადაადგილებული პირია. ათეულ წელზე მეტია ჩვენი ქვეყნის უმთავრესი პრობლემაც სწორედ მათი უზრუნველყოფაა. აგვისტოს ომის შემდეგ ამ პრობლემას ცოტათი ეშველა — უცხოეთიდან შემოსული დონორი ორგანიზაციის დახმარებით ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ავად თუ კარგად დევნილების პრობლემების მოგვარება თანდათანობით დაიწყო.**

როგორ ჩაიარა გასულმა წელმა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთვის, ამის შესახებ გუშინ მინისტრმა **კობა სუბელიანმა** პარლამენტში პრეზენტაცია გამართა, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა უმასპინძლა.

სანამ მთავრობის მუშაობის „წარმატებებზე“ ვისაუბრებდეთ, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია და განხორციელების სამოქმედო გეგმა დადებითად შეაფასა. **საკითხავია, რას მიიჩნევენ უცხოელები წარმატებად, მაგრამ ფაქტია, რომ ლტოლვილთა საკითხი ჩვენთან კვლავ მწვავედ დგას.** ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ სუბელიანის მოსასმენად კომიტეტის სხდომაზე დიმიტრი ლორთქიფანიძემ ლიახვის ხეობიდან ერთ-ერთი დევნილი მიიწვია. ის პირადად მოუყვა მინისტრს, თუ რა მძიმე პრობლემის წინაშე დგას მისი ოჯახი. სუბელიანი დახმარებას შეჰპირდა, თუმცა ასეთი ოჯახი არაერთია; ისინი კი კომიტეტის სხდომებსა და თათბირებს მუდმივად ვერ ჩაუსაფრდებიან, თუნდაც სიტყვიერი თანხმობის მისაღწევად.

„ახალ დევნილებს“, როგორც არაერთხელ თქმულა, შედარებით მეტ დროს უთმობს ხელისუფლება, თუმცა კვლავ პრობლემურია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების თემა. კობა სუბელიანის თქმით, 10,550 ოჯახს უკვე საკუთრებაში დაუკანონდა ფართები. 242 ობიექტში მიმდინარეობს რეაბილიტაცია, რომლის დასრულებისთანავე 5000-მდე ოჯახს დაუკანონებენ საცხოვრებელ ფართს.

სუბელიანი ამბობს, რომ დაიწყება ახალი მშენებლობები იმ დევნილებისთვის, რომლებიც ქირით ან ნათესავთან ცხოვრობენ. ჯამში ეს ყველაფერი რამდენიმე მილიონ ლარს მოითხოვს, თუმცა სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის უკვე გახარჯულია 350 მილიონი.

მოსმენაზე დეპუტატები დევნილთა გამოსახლების თემითაც დაინტერესდნენ. **„დევნილებს ქუჩაში არ ვყრით. მაგრამ არის მომენტი, როცა კერძო მესაკუთრე ჩივის, სასამართლო კი იღებს გამოსახლების გადაწყვეტილებას. ჩივიან იურიდიული პირებიც. ამ შემთხვევაში სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ეს ადამიანები ქუჩაში არ დარჩნენ. ვთავაზობთ იმას, რისი საშუალებაც გვაქვს, რაც უკმაყოფილებას იწვევს ხოლმე. პრეტენზიები კი ხშირად ტენდენციურად პიარდება მედიის მიერ“,** — აღნიშნა მინისტრმა.

სუბელიანი კომპენსაციის თემასაც შეეხო. მისი თქმით, ხანდახან ფულით დაკმაყოფილების საკითხი იმიტომ ჭიანურდება, რომ თურმე ამის გამო ოჯახის წევრებიც კი უპირისპირდებიან ერთმანეთს. სახელმწიფო კი სიფრთხილეს იჩენს და სოლომონისებურად ცდილობს მსგავსი პრობლემის გადაწყვეტას. ასეთი პედანტური ჩვენი მთავრობა ძალიან იშვიათად თუ არის, მით უფრო თვალშისაცემად აკლდა სუბელიანის ანგარიშს მსგავსი პედანტურობა, ანუ მიზერულად იყო გაწერილი გახარჯული თანხები...

**ბუნებრივია, თანხების მითვისებასა და კორუფციაში ასე მარტივად მთავრობას ვერ დავადანაშაულებთ, მაგრამ არის ლოგიკა ამ გამონათქვამში: სადაც პური იჭრება, იქ ნამცეცებიც იყრება... რაც ასე შეესიტყვება ჩვენს ხელისუფლებას.**

**ნია ფიფია**

◉ სჯობს გვიან?

**აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტად უკვე მეორედ მოვლენილმა სერგეი ბაღაფშმა აფხაზი ერისთვის ერთგულების ფიცი მშობლიურ ენაზე წარმოთქვა და კონსტიტუციაზეც დაიფიცა. თუმცა, ინაუგურაციის განმავლობაში ვერ დაითვლიდი, რამდენჯერ გადაუხადა მადლობა დიად რუსეთს. ამას რუსეთი, ბუნებრივია, იმსახურებდა, აფხაზეთი ე. წ. დამოუკიდებლად პირველად სწორედ რუსეთმა ცნო. მართალია, ე. წ. ინაუგურაციაზე ნაურუს პრეზიდენტი მარკუს სტივენი არავის დაულანდავს, მაგრამ რუსეთში ნიკარაგუისა და ვენესუელის ელჩები უმალ გამოცხადნენ. საპატიო ადგილი ეკავათ ცერემონიალზე მოსკოვის მერს იური ლუჟკოვს, ედუარდ კოკოითის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ადიღეს პრეზიდენტებს, დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ლიდერებს. ე.წ. ინაუგურაციას თურქეთში აფხაზური დიასპორის წევრებიც ესწრებოდნენ.**

# როცა ნაურუს პრეზიდენტი ვერავინ დალანდა...

მართალია, აფხაზეთში გამართულ არჩევნებს ქართული მხარე არალეგიტიმურად მიიჩნევს და, შესაბამისად, მოუწოდებს პარტნიორ ქვეყნებს ე.წ. არჩევნების დასაგმობად, მეორე ვადით არჩეული ბაღაფში იხტიბარს არ იტეხს, იმედი აქვს, რომ მსოფლიო დიდი ყურადღებით დააკვირდებათ და სხვა რესპუბლიკებიც აღიარებენ.

„ჩვენ ხუთი წელი გვქონდა აფხაზეთის მოსახლეობას შორის აგიტაციის საწარმოებლად. ამ ხუთი წლის განმავლობაში, მართლაც, ბევრი რამე გავაკეთეთ. ბევრი ავაშენეთ, ბიუჯეტი 5-ჯერ გავზარდეთ, გავზარდეთ ხელფასები, პენსიები და სოციალური დახმარებები. 2004 წელს აფხაზეთის ბიუჯეტი 400 მილიონი იყო, დღეს კი 2010 წლის ბიუჯეტი 2 მილიარდია," – განაცხადა სერგეი ბაღაფშმა.

მან აღნიშნა, რომ აფხაზეთს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთთან და მიაღწია ყველაზე მთავარს – გაათავისუფლა კოდორის ხეობა და მოიპოვა დამოუკიდებლობა. **სეპარატისტების ლიდერი დღესაც დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობს. ფიქრობს, რომ უკრაინის არჩევნების შემდეგ დსთ-ს სივრცეში კიდევ ერთი ეკონომიკური პარტნიორი ეყოლებათ, რომელიც ცნობს აფხაზეთს:** „პირველ რიგში, დავამყარებთ კავშირებს უკრაინასთან და ბელორუსთან. ჩვენ ხომ ერთ ქვეყანაში გავიზარდეთ. ვფიქრობ, დროის მსვლელობასთან ერთად, სახელმწიფოების საზღვრებიც სხვა იქნება. ჩვენ მივდივართ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირისაკენ, რომელსაც ექნება უსაფრთხოების საერთო სისტემა, ეკონომიკა, ღია საზღვრები, აქეთ უნდა ვისწრაფოდეთ. უკრაინასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა, მით უფრო – გვექნება არჩევნების შემდეგ."

ამ სიტყვების შემდეგ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ბაღაფში არ აპირებს საქართველოს მიერ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მიმართებაში შემუშავებული ახალი დოკუმენტის, ანუ სტრატეგიის განხილვას. ექსპერტ მამუკა არეშიძეს ეს კატასტროფად სულაც არ მიაჩნია.

„ჩემი აზრით, საჭიროა სტრატეგიის იმ ნაწილის ამოქმედე-



ბა, რომელიც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, საერთოდ, ურთიერთობებისა და ნდობის აღდგენას ეხება. ბევრი რუსი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ქართული მხარის მიერ შემუშავებული სტრატეგია დაგვიანებულია, მაგრამ მაინც ვხელმძღვანელობთ პრინციპით – სჯობს გვიან, ვიდრე – არასოდეს," – ფიქრობს არეშიძე, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, საერთოდ, ბაღაფშის დამოკიდებულება ქართული მხარის მიერ შეთავაზებული წინადადებების მიმართ.

მან თავის დროზე განუსაზღვრელ ავტონომიაზეც კი უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ საქართველომ 20 წლით დააგვიანა. **არანაირი ავტონომია, თუნდაც აფხაზეთის პრეზიდენტი საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი იყოს და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი შეუძლებელია, ჩვენ ავაშენებთ საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოსო – ასეთია ბაღაფშის აზრი. ჩვენ ამ დოკუმენტს აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების გეგმად განვიხილავთ, რაც ჩვენთვის მიუღებელია, განაცხადა სერგეი შამბამაც, ამჟამად მან საგარეო საქმეთა მინისტრობიდან აფხაზეთის ე. წ. მთავრობის ახალი თავმჯდომარის პოსტზე გადაინაცვლა.** გასაგებია, რაოდენ ძნელი იქნება ასეთი განწყობის ორ მესვეურთან საერთო ენის გამონახვა.

ერთი მხრივ, თითქოსდა, რუსეთი და აფხაზეთი შეხმატკბილებული არიან, ბაღაფში იღებს რუსეთის მესვეურთა მილოცვებს, მათ პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დამყარებაც სურთ. მაგრამ მეორე მხრივ, ვრცელდება ინფორმაცია აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმსა და რუსეთს შორის სკანდალის შესახებ.

რუსეთის საგარეო უწყება უკმაყოფილოა სოხუმით, რადგან აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსებს საცხოვრებელ სახლებს და ქონებას ართმევენ.

სერგეი ლავროვის უწყებამ ბაღაფშის მთავრობას საპროტესტო ნოტა უკვე გაუგზავნა. ქონებაჩამორთმეული რუსების რიცხვი უკვე 4 ათასს აღწევს.

დღეს ოკუპირებულ აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლება მხოლოდ აფხაზებს აქვთ. დაკანონდა პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც დროებით დაკეტილი სახლებიც მიტოვებულად ცხადდება და იყიდება.

ამის გამო, პრობლემები ექმნებათ რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც თუნდაც რამდენიმე დღით ტოვებენ სოხუმს.

ამბობენ, რომ საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელის ინაუგურაციის შემდეგ ყველა სახელმწიფო მოხელე თანამდებობიდან გათავისუფლდება.

ექსპერტები შეშფოთებული არიან იმით, რომ სავარაუდოდ, სახელმწიფო მოხელეები ჩანაცვლდებიან საოკუპაციო მთავრობისადმი ლოიალურად განწყობილი აფხაზებით ან რუსებით.

ასეთი ვითარების მიუხედავად, პოლიტიკოსები აფხაზებთან ნაბიჯ-ნაბიჯ მოლაპარაკებას მაინც საჭიროდ მიიჩნევენ. მხარეთა პოზიციების მიუხედავად, სოხუმთან ურთიერთობებს პერსპექტივა აქვს. **აფხაზები მშვენივრად ხვდებიან, რომ მათი გზა რუსეთზე არ გადის. აფხაზი მოსახლეობა, მართლაც, მძიმე პირობებში ჩააგდო რუსეთის პოლიტიკამ. აფხაზეთში იხსნება ახალ-ახალი სამხედრო ბაზები და საცხოვრებლად ჩამოდიან უცხოტომელები.** შეიძლება ვთქვათ, რომ თანდათან მათ ეროვნულ თვითმყოფადობას საფრთხე ემუქრება. აფხაზებს საკუთარი ენის, ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ. ბუნებრივია, კარგად აცნობიერებენ შექმნილ სიტუაციას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს ცვლიან.

და მათ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა უნდათ. ექსპერტები ფიქრობენ, რომ ასეთ ვითარებაში აუცილებელია სერიოზული ურთიერთობა აფხაზებთან, ოსებთან და რუსებთანაც, და არა პიარზე აგებული პოლიტიკა. პიარი კონფლიქტებს ვერ მოაგვარებს. გვინდა თუ არ გვინდა, კონფლიქტების მოგვარების გასაღები მაინც მოსკოვშია.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ პოზიცია

# ჯანდაცვის სფეროს რეფორმას ითხოვენ

**ჯანდაცვა ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული სფეროა, ისინი უამრავ თანხას ხარჯავენ თავიანთი მოქალაქეების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დასაცავად, ხოლო ის ქვეყნები, რომელთა განვითარების სწრაფ ტემპსა და წინსვლაზე მუდმივად საუბრობენ, მაგალითად საქართველო, უცხოურ ჯანდაცვის სისტემებს ჯერ სიზმარშიც ვერ უახლოვდებიან.**



აშშ ბიუჯეტის მეოთხედს ხარჯავს სწორედ ჯანდაცვაზე, სამედიცინო რეფორმაზე, ხოლო საქართველო მხოლოდ – 5 პროცენტს. ჯანდაცვის გამოყოფილი თანხა, ყოველ წელს „წინსვლის" პროპორციულად კლებულობს და 2010 წელს მხოლოდ 409 მილიონ ლარს შეადგენს. უფრო დაწვრილებით რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ თითოეული მოქალაქისთვის მხოლოდ 80 ლარია გამოყოფილი. ეს მიზერული თანხა, მოგეხსენებათ, ექიმთან ერთი ჩვეულებრივი ვიზიტისთვისაც არ გეყოფათ, მედიკამენტების ფასებზე რომ არ ვილაპარაკოთ.

ვინაიდან და რადგანაც ჯანდაცვა ყურადღებასაც საჭიროებს და რეფორმებსაც, პოლიტიკურმა პარტიებმა ის სასწრაფოდ შეიტანეს პრიორიტეტების რიგებში, რაც ხალხს აწუხებს, იმით მშვენიერი რეკლამის გაკეთება შეიძლება, თუმცა გულის სიღრმეში რაღაცის შეცვლის იმედი მაინც ყოველთვის გაქვს და იჯერებ რასაც გეუბნებიან. გუშინ, მაგალითად, პრესკონფერენცია გამართა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" თავმჯდომარის მოადგილემ ლევან როინიშვილმა. როგორც მან განაცხადა, ჯანდაცვის სფეროს გადაუდებელი მკურნალობა სჭირდება და ხელისუფლებას საკუთარი წინადადებებითა და მოთხოვნებით მიმართა: – ჯანდაცვის სფერო უმძიმეს მდგომარეობაშია, ხელისუფლების ფსევდორეფორმის შედეგად ეს დარგი კიდევ უფრო დაინგრა და მოიშალა. დღეს უკმაყოფილებას გამოთქვამს როგორც ექიმი, ისე პაციენტი. შექმნილი სავალალო ვითარების მთავარი მიზეზი ჯანდაცვის სფეროს არასათანადო დაფინანსებაა, რომელიც მხოლოდ ბიუჯეტის გაორმაგების შემთხვევაში მოგვარდება.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" მიიჩნევს, რომ მდგომარეობა მანამდე არ გამოსწორდება, სანამ ხელისუფლებისთვის ჯანდაცვა მნიშვნელოვანი მიმართულება არ გახდება. ჯანდაცვის სისტემის მეტ-ნაკლებად ნორმალურად ფუნქციონირებისთვის საჭიროა უფრო მეტი თანხის გამოყოფა. საქართველოში ჯანდაცვაზე უნდა იხარჯებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 4 პროცენტი, რაც დღეისთვის შეადგენდა 800 მილიონ ლარს.

– ასევე სერიოზულ გადახედვას საჭიროებს მთავრობის სადაზღვევო პოლიტიკა. არასწორი იყო პროგრამული დაფინანსების ჩუმად გაუქმება. პროგრამული დაფინანსება უნდა შენარჩუნდეს სადაზღვევო სისტემის სწორად ამუშავებამდე. სახელმწიფომ უნდა დააზღვიოს მოსახლეობის 70 პროცენტი. ამასთან, უნდა შეისყიდოს დაზღვევის არა იაფი, არამედ ხარისხიანი პაკეტი. ასევე, აუცილებლად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ ერთიანი სტანდარტის მიხედვით პირველადი ჯანდაცვის დაფინანსება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის, – ასე ესახება მოძრაობას „სამართლიანი საქართველოსთვის" ქვეყნის ჯანდაცვის სფეროს რეფორმირება.

რაც შეეხება დაპირებულ და შემდეგ დაწყებულ 100 უმაღლეს სტანდარტის საავადმყოფოს აშენებას და დანარჩენ გასხვისებულ ჰოსპიტალურ დაწესებულებებს, ეს სექტორიც გადაუდებელ რეფორმირებას საჭიროებს. დღევანდელი ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, საჭიროა პრივატიზების პროცესის შეჩერება. ის პრივატიზებული საავადმყოფოები, რომელშიც პირობები არ სრულდება, სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს. სახელმწიფომ უნდა აიღოს ახალი ვალდებულება, რომ 7 წელიწადში მთელ საქართველოში ახალ საავადმყოფოებს ააშენებს, **– აღნიშნა ლევან როინიშვილმა.**

ერთი უდავოა, ჯანდაცვა ნამდვილად საჭიროებს რეფორმას და ხელშესახებ ცვლილებებს, ხელისუფლებას თუ პარტიებზე უკეთესი გამოსავალი აქვს, რაღას აყოვნებს, თუ არა და...

**ანა წიწილაშვილი**

◉ ინფორმაცია

## უნივერსიტეტი ისევ გაძარცვეს

**ჯერჯერობით** დაუდგენელმა პირებმა უმაღლესი სასწავლებლის პირველი კორპუსის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამშენებლო მასალები მოიპარეს. წაღებულია ელექტროსადენები და ძვირადღირებული ტექნიკაც.

მომხდარის გამო, უნივერსიტეტის რექტორატის გადაწყვეტილებით, დაცვის სამსახურის რეორგანიზაცია მოხდება. თანამდებობიდან უკვე გათავისუფლებულია დაცვის რამდენიმე თანამშრომელი.

– ქურდობის ფაქტმა სისტემური ხასიათი მიიღო და ამას ჩვენ რეაგირების გარეშე ვერ დავტოვებთ. სამსახურიდან უკვე გავათავისუფლეთ დაცვის სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი. საქმის კურსში ჩავაყენეთ სამართალდამცავი ორგანოებიც, – განაცხადა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუხუამ.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს ძარცვის მესამე შემთხვევაა.

ჯი-ეიჩ-ენი

## „ვამპირიზმის გაკვეთილები“

**არ გაგიკვირდეს, ძვირფასო მკითხველო, რომ ამ წერილით ახალგაზრდა მამაკაცებს, ანუ როგორც დასავლეთში ამბობენ, „თინეიჯერ ბიჭებს“ მინდა მივმართო.**

ასევე არ გაგიკვირდეს, როდესაც გაიგებ, თუ რატომ დავარქვი ამ წერილს სათაურად „ბინდი“.

საკმაოდ საოცარი, უცნაური და ერთი შეხედვით სასაცილო ისტორია აქვს ამ წერილს. იმდენად საოცარი და სასაცილო ისტორია, სამწუხაროდ, ძალიან სატირალი და სავალალო რომ გამოდის.

ამ დასახელების წიგნი დაიბეჭდა ბაკურ სულაკაურის კლინიკაში, უჰ, უკაცრავად, გამომცემლობაში და ძალიან დიდი პიარ–აქციით მიეყიდა ე.წ. „ზუმის“ წევრებს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში.

# „ბინდი“

## ანუ ახალგაზრდა თაობის გონების დაბინდვის ერთ–ერთი ხერხი



მაგარი კონტრასტია, არა?

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში გაიყიდა სტეფანი მეიერის „ნაწარმოები“ სახელად „ბინდი“ (არადა, სელინჯერი გარდაიცვალა ახლახან და „თამაში ჭვავის ყანაში“ არავის არ გახსენებიაძ.

რას იზამ, იცის იმ კაცმა ბიზნესი, იდეოლოგია და პიარი. ჰოდა, ვინც საქმის კურსში არ არის, იმათ გასაგონად ვიტყვი, რომ, ეს წიგნი არის ინტერნეტ და კინოსივრცეში გავრცელებული ფილმის „ბინდის“, პირველი სერიის ლიტერატურული ვარიანტი (მაპატიეთ ამ შეუსაბამო შედარებისთვის. „ლიტერატურული ვარიანტი“ მაქვს მხედველობაშიძ.

რადგანაც ფაქტობრივად ყველამ, ვისაც ნანახი გაქვთ ეს ფილმი, კარგად იცით, თუ რა ხდება იმ „ტერიტორიაზე“, ამიტომ ერთ ჩემს სტილში გადაწყვეტილ ფრაზას ვიტყვი:

ჯერ ერთი ყველა ვამპირის დედა ვატირე (რბილად რომ ვთქვაძ, მერე ვეგეტარიანელი ვამპირების და ბოლოს იმათი, ვისაც, ასე ვთქვათ, ეს არაკაცი ვამპირები მოსწონს („არაკაცი ვამპირი“, ეს დაახლოებით ისეთია, როგორც ნორმალურ ადამიანებში „პედერასტი“ძ.

ასი წელი არ ვილაპარაკებ იმ თემაზე, რომ ჩემს დროს სხვა წიგნებს ვკითხულობდით. არ ვილაპარაკებ იმაზე, რომ ჩემს დროს 37 მანეთად მოსკოვში მივფრინავდით და იქ რუს გოგონებთან ვგრიალებდით. არც იმას ვიტყვი, რომ ჩემს დროს ამასა და იმას ვაკეთებდით.

არ ვილაპარაკებ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გულწრფელად მეცოდებით და არ მინდა ნერწყვი მოგადინოთ.

არ მინდა ვთქვა, რომ დღეს მხოლოდ შაბათს გასული ერთი საცოდავი გადაცემის იმედზეა დარჩენილი სახედაბუგრული ქართველი ახალგაზრდების მამაკაცური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

არ მინდა ვთქვა, რომ სასაცილოა იმ თინეიჯერების აჟიოტაჟი, რომლებსაც დოსტოევსკის „ეშმაკნი“, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ სახლში აქვთ და „არატრადიციული ორიენტაციის ვამპირებზე“ გადაღებული ფილმის მიხედვით გაკეთებული წიგნის ყიდვაზე იკლავენ თავს.

სასაცილოა ეს ყველაფერი.

სასაცილოა და არ გეწყინოთ ჩემო პატარა მეგობრებო, თუ დაგცინეთ.

დიახ, დაგცინეთ, რადგანაც არავისთვის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებ.

მეც დასავლური პრინციპების ერთგული ვარ.

კარგია ევროპა და ამიტომ პირდაპირ გეტყვით: ყველამ თავის ბოზ მამიდას მიხედოს.

მე თქვენ არაფრისკენ არ მოგიწოდებთ.

მეტი საქმე არა მაქვს, რაიმე გასწავლოთ (მით უმეტეს, თუ თქვენ თვითონ არ გინდათძ, მაგრამ თუ თქვენი გოგონები თურქების, ამერიკელების, ან ბათუმში ჩამოსული სომხების ლოგინებში აღმოჩნდებიან, არ გაჯავრდეთ.

არ გაჯავრდეთ, რადგანაც დაგიჭერენ!

ჰოდა, გინდათ ახლა თქვენ ციხეში ჯდომა?

ნამდვილად არ გინდათ.

ამიტომ ისევ შაბათობით ტელევიზორსა და ტუალეტს შორის სირბილი სჯობს.

ძალიან დიდი სისულელეა იმაზე საუბარი, რომ კონსტანტინე გამსახურდიას, გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილის და კიდევ ვინ ჩამოთვლის რამდენი გენიოსის პატრონი ბავშვები, ვიღაც კროულინგის და მეიერის ნაჯღაბნებზე არ უნდა კიოდნენ.

არც იმას ვიტყვი, რომ გია მურღულიას მსგავსი „პედაგოგები“, მართლაც რომ ვამპირები და ზომბები არიან (რაღა დაგიმალოთ და ძალიან მიკვირს მისი მოსწავლეების მამებისძ.

ამიტომ არც არაფერს გასწავლით, არც არაფრისკენ მოგიწოდებთ და არც არაფერს არ გირჩევთ.

მე და ჩემნაირები, უბრალოდ ჩავიცინებთ და გვერდს აგივლით.

თქვენი საქმე თქვენ თვითონ იცით.

მაპატიეთ, მაგრამ ამასაც „დასავლური პრინციპებიდან“, ანუ „ქმედების თავისუფლებიდან“ გამომდინარე ვამბობ.

იყავით ბინდში, გაიზიარეთ ლაშა ბუღაძის და ზაზა ბურჭულაძის ავადმყოფური ფანტაზიები, ოღონდ მერე არ გაჯავრდეთ.

ჰოდა ასეთი წიგნების მკითხველი ხალხი, მართლაც დაიჯერებს, რომ რუსეთმა საფრანგეთისგან სამხედრო გემი „მისტრალი“ იმიტომ იყიდა, რომ ჩვენ მათ ომი მოვუგეთ და „დასავლეთის შეშფოთებამ“ ეს ლატაკი, ველური და დანგრევის პირას მისული რუსეთი ისე შეაშინა, რომ იძულებული გახდნენ თავი დაიცვან (მერე რა, რომ იმ ომში 123 სოფელი, ყოველგვარი მტრისგან მიუვალი მხარე და რაიონული ცენტრი დავკარგეთ. მერე რა, რომ საფრანგეთი ნატოს და ევროკავშირის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანაა და ჩვენთან ახლობლობას, რუსეთთან ძმაკაცობა ურჩევნიაძ.

მთავარია, რომ ჩვენი პოლიტიკაც იმ იდიოტური „ნაწარმების“ („ნაწარმების“ და არა „ნაწარმოებების“ძ სტილში იყოს გადაწყვეტილი.

მთავარია, რომ თენგიზ გოგოტიშვილი და მისნაირები საკუთარმა ცოლებმა გამოყარონ სექს-მუზეუმიდან, ანუ იმდენად გაუჭირდეთ თავიანთ მეუღლეებთან ურთიერთობა, რომ პრადის მუზეუმში განთავსებული ექსპონატები გამოიყენონ (მეტი არ აუდგათ გვერდები საკუთარ უძლურებაში და გაჭირვებაში ჩავარდნილ იმ უბედურ ავადმყოფებს, სანამ ნორმალურ ქართველებს ეგეთი რაღაცები არ დასჭირდეთ. ისე, თუ არ გჯერათ, შეამოწმეთძ.

ეჰ, რამხელა ბინდი უნდათ რომ იყოს საქართველოში!

არადა, მზიანი მხარეა ეს ჩვენი სამშობლო.

ძალიან მზიანი!

**გია გაბრიჭიძე**

## სატკივარი

# „იმედის“ ჯოჯოხეთი!

## ანუ რა აქვთ სინამდვილეში ჩაფიქრებული ტახირიჩსა და მისთანებს



**— ნახე, წუხანდელი გადაცემა? ეგ რა სისაძაგლეები აჩვენეს! ვინ არიან ეს დამპლები ესენი! — მისალმება არც მაცალა, ისე მატაკა. არადა, ნახევარი საუკუნეა, რაც ვიცნობ. რაჭული სიდინჯით, სიდარბაისლით გამორჩეული ქალაქის დამსახურებული კაცის ამგვარი აღელვება პირველად ვნახე. რა იყო, ასეთი რა მოხდა-მეთქი, დამშვიდება ვცადე.**

— კაცო, ეგეთი რამ გაგონილა? ბესო კესოდ აქციეს. რა საზიზღრობები ალაპარაკეს. კაცი დასანახად შემაზიზღეს. კინაღამ ინფარქტმა დამარტყა. სახლში, ოჯახში, ცოლ-შვილთან, შვილიშვილებთან ერთად ვერ უნდა უყუროს კაცმა ტელევიზორს?

— ეგ, ალბათ, „იმედზე“ არა? — ვცადე სიტყვის ჩაკვეხება, — ეგენი ხომ ჯოჯოხეთიდან არიან მოვლენილნი.

— სწორედაც! იმ ტახირიჩის მოსვლის შემდეგ ეგ ტელევიზია სატანების ბუდე გახადეს, აგერ რუსთაველებსაც მოგვწვდნენ და ლაფი დაგვასხეს — შორენა ბეგაშვილი ხომ ჩვენი ქალაქელია. მის ქმარს ვიცნობ, ნაღდი, კეთილი კაცია, ერთი ქალიშვილი ჰყავთ, ეს ქალი გაათახსირეს. ოჯახი რომ დაინგრა, მამას ქალიშვილის ბედი აქედანვე თრგუნავს, გოგო გაიზრდება და ასე საჯაროდ თავმოჭრილი დედა რომ ეყოლება... იქ რაჭველებიც ჩაგვითრიეს, ეს ვიღაც სოფო ჩიკვილაძე, ნამუსგარეცხილი. ჩვენი კუთხის თავის მომჭრელი, აგერ ზვიადის ოჯახს დაუპირისპირეს... დიდი კონსტანტინეს, ერის საამაყო მწერლის ასეთი უპატივცემულობა?!

ხომ გითხარით, ნახევარი საუკუნეა ვიცნობ-მეთქი. მისგან თაფლივით ტკბილი და თბილი სიტყვის მეტი არა მსმენია. რომ შეგხვდება, შემოგილიმებს, რაც გინდა ცუდ გუნებაზე იყო, გაგახალისებს, ახლა კი...

— კარგი, კარგი, — ვცდილობ დავამშვიდო, ეგ „იმედი“ იმ ცხონებულმა ბადრი პატარკაციშვილმა, დიდმა მამულიშვილმა იმედად რომ გაგვიჩინა, ახლა ქვეწარმავლების ბუდეა და, მასაც თავისი დრო დაუდგება, თავისი მიეზღვება...

— ვის რა შერჩენია, მაგრამ ამ გიორგი არველაძესაც ხომ ჰყავს ცოლ-შვილი, ახლობლები, ნათესავები... ან ეს ნანკა კალატოზიშვილიც... რა ვთქვა, არ ვიცი! ხალხნო, ქვეყანა იღუპება! დაწერე, თუ ძმა ხარ, დაწერე, რა დაგემართათ, ქართველებო-თქო, ასე როგორ დავჩიავდით, ნუთუ პრეზიდენტი რომ იძახის „დაჩმორებულნო“, ყველას გვგულისხმობს... აბა, რას ჰგავს მისი მოქმედება, იქ, ქუთაისში, რაღაც სათამაშო, ვითომ მეტალურგია, ავამუშავეთო, აქ კი მეტალურგიულ გიგანტს გვინგრევენ კი არა, უკვე გაგვიყიდეს. რვა ათასი კაცი ქუჩაში გამოყარეს, ეს რვა ათასი ოჯახია. ის მეტალურგია კიდევ მთელ ქალაქს და ქვეყანას არჩენდა. რუსთავში 44 დიდი და პატარა ქარხანა იყო, დღეს რა გვაქვს?..

— კი, ბატონო, დავწერ, განა ერთხელ და ორჯერ დამიწერია, მიყვირია, მიბღავლია მიტინგებზეც კი, მაგრამ ჯერ არაფერი გამოდის, ჰოდა, სანამ მართლა გულის პრობლემა არ შეგქმნია, ჩემსავით მოიქეცი, არ უყურო იმ თახსირ „იმედს“ სხვაგან გადართე და...

— მერე ის სხვაგან სადაა, ეგენი ყველანი ერთმანეთს ჰგვანანო, — ხელი ჩაიქნია და გაბრაზებული გამშორდა.

**ისე კი მგონია, იმ გიორგი ტახირიჩსა და პრეზიდენტს სულ სხვა რამე აქვთ ჩაფიქრებული, „იმედი“ ხომ ქვეყნის საყვარელი ტელეარხი იყო, უყვარდათ მისი პატრონი, ბატონი ბადრი — ახლა ისე აკეთებენ, ყველას შეაძულონ, შეაზიზღონ, მერე კი მიახურავენ... რაღაც ამის სიმპტომები ჩანს.**

**გივი ჯახუა**

## ინფორმაცია



### იუშჩენკო – „პატარა ჯარისკაცი“

**უკრაინის უკვე ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო საკუთარ თავს „პატარა ჯარისკაცს“ ადარებს. ამის შესახებ მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**

**მისი თქმით, იგი მარტო ცდილობდა უკრაინაში ევროპული იდეალების განვითარებას.**

**— მე ვიყავი ის პატარა ჯარისკაცი, რომელიც ცდილობდა უკრაინა დამოუკიდებელ, თავისუფალ და სუვერენულ სახელმწიფოდ ექცია, — განაცხადა ვიქტორ იუშჩენკომ.**

**შეგახსენებთ, რომ უკრაინის ცესკომ 14 თებერვალს ოფიციალურად აღიარა საპრეზიდენტო არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვება.**

### იანუკოვიჩის ინაუგურაცია 25 თებერვალს შედგება

**ამის შესახებ „რია ნოვოსტი“, უკრაინის უმაღლესი რადას ვებგვერდზე დაყრდნობით იუწყება. უკრაინის ცესკომ 14 თებერვალს, ვიქტორ იანუკოვიჩი ოფიციალურად გამოაცხადა ქვეყნის პრეზიდენტად.**

ჯი-ეიჩ-ენი



სახელმწიფო ბიუჯეტი

***სახელმწიფო ბიუჯეტის სწორ დაგეგმვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, არამედ სოციალური ყოფის დონის ამაღლების, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივაც. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოსავალ-გასავლის მონიტორინგი, რომელიც ჩვენში, საზოგადოების თვალთახედვით, რბილად რომ ვთქვათ, აშკარად არასაკმარისია. არადა, ბუნებრივია, ყველას ერთიანად გვაინტერესებს, რაში იხარჯება ფული, რომელსაც სახელმწიფო ასე „გულუხვად“ ართმევს თითოეულ ჩვენგანს.***

# ქარქაში „ქამრის მოჭერის“ ჟამს

შარშან აგვისტოში დაარსებული ეკონომიკურ პრობლემათა კვლევის ცენტრის სპეციალისტები, სექტემბრიდან მოყოლებული, „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ცხრათვიანი პროექტის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მონიტორინგს“ ახორციელებენ. მისი მიზანია ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის შუქ-ჩრდილის შესწავლა, რაც უფრო აქტუალური გახდა „ქამრის მოჭერის“ გახმაურებული ლოზუნგის წამოყენების შემდეგ. ხოლო თუ ცენტრის საქმიანობას უფრო ვრცლად, დაწვრილებით განვიხილავთ, **მისი არსია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესწავლა, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, ასევე არსებული ეკონომიკური სისტემის გაუმჯობესებაზე მიმართული კონკრეტული ნაბიჯების შინაარსის დადგენა, რომლის**



**პრიორიტეტი, სპეციალისტთა აზრით, საქართველოს ევროპის ეკონომიკაში ინტეგრირება, კონტინენტის ქვეყნებთან საბაზრო ურთიერთობათა გაღრმავება უნდა იყოს.** თავისთავად სახელმწიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის მონიტორინგი კი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის სათანადო პუნქტების შესაბამისობისა და ეფექტიანობის შესწავლასა და კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობას გულისხმობს.

არავისთვისაა ახალი ამბავი, რომ 2008 წლის რუსეთთან ხანმოკლე ომის ნეგატიურმა შედეგებმა მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე თავი თითქმის მყისიერად, შემოდგომაზევე იჩინა. მაშინ, როგორც ცნობილია, ეკონომიკური ზრდა 7,5 პროცენტით იყო დაგეგმილი, მაგრამ რეალურმა მაჩვენებელმა საპროგნოზო მაჩვენებლის მესამედიც ვერ აქაჩა და 2,1 პროცენტი შეადგინა. ამის მიუხედავად, შარშანდელი ბიუჯეტის დაგეგმვისას ძირითადი ფინანსურ-ეკონომიკური პარამეტრები, ექსპერტების აზრით, მაინც გაუმართლებლად გაზარდეს. იგივეს თქმა შეიძლება წლევანდელ ბიუჯეტზეც. ამასთან დაკავშირებით ერთი არცთუ სასიხარულო მონაცემის მოყვანა შეიძლება: **აგერ უკვე თხუთმეტი წელია (მოყოლებული 1994 წლიდან), ქვეყანაში არ ყოფილა ისეთი ბიუჯეტი, რომელსაც წლის განმავლობაში რაიმე სახეობის ცვლილება, კორექტირება არ განეცადოს.** ეს კი, როგორც სპეციალისტები აცხადებენ, მაკროეკონომიკური პროგნოზირების სფეროში ბიუჯეტის დამგეგმავთა სისუსტეს მიანიშნებს.

„ქამრების მოჭერის“ პოლიტიკა, უწინარესად, სახელმწიფო აპარატის ხარჯის შემცირებას, მის ოპტიმიზაციას და არა ისედაც უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე ჩინოსნების ძველებურად ფუფუნებაში ცხოვრებას გულისხმობს. არადა, კაცმა რომ თქვას, მათ „ქამრის მოჭერისა“ არაფერი ეტყობათ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მთელი რიგი (თუ არა ყველა) სახელმწიფო, ანუ საბიუჯეტო დაწესებულება თანამშრომელთა საერთო რიცხოვნობას ამცირებს, ჩინოსნების ხელფასები კი, მით უმეტეს მაღალი რანგის, როგორც აქამდე იყო, ახლაც ღატაკი ქვეყნისთვის გაუმართლებლად მაღალი რჩება. ეგ კიდევ არაფერი: **მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სფეროში ჩინოსნების შენახვის ხარჯი ნამდვილად შემცირდა, სამაგიეროდ ზოგიერთში იგი არათუ შემცირდა, არამედ პირიქით, გაიზარდა კიდეც!** სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თუმცა ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯი მთლიანობაში შემცირდა, ეს პროცესი სახელმწიფო დაწესებულებებზე აშკარად არათანაბრად განაწილდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **ჩინოსანთა აპარატის შესანახმა ფულმა ერთი ჯიბიდან მეორეში გადაინაცვლა.** მაგალითისთვის შეიძლება ვთქვათ, რომ **ბიუროკრატიული აპარატის შენახვის ხარჯი გაეზარდა შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა, ეკონომიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროებს. გასათვალისწინებელია ასევე ხარჯის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილები, როგორებიცაა სხვადასხვა პერიოდულობის პრემიები, ჯილდოები და თანამდებობრივი შეღავათები.** იმის მაგივრად, რომ შეეზღუდათ (საერთოდ გაუქმებაზე არაფერს ვამბობთ) ათასგვარი, აშკარად ფუფუნებაზე გათვლილი „შემწეობები“ და შეღავათები, მით უმეტეს „ქამრის მოჭერის“ ჟამს, კანონმდებლებმა მწვანე გზა მისცეს მათ გამოყენებას. ყოველივე ამას კიდევ ემატება სახელმწიფო სახსრების სრულიად გაუმართლებელი, არამიზნობრივი ხარჯვა, რასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ბოლო დროს, არაერთი ამბავი გახმაურდა, თუმცა საქმეთა კომპეტენტურ გამოკვლევამდე ამაზე ლაპარაკი ნაადრევია, თანაც ეს ცალკე საუბრის თემა გახლავთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

მათქმევინეთ!

# ერის კულტურას ქუჩაც განსაზღვრავს

**დიდი გულისტკივილით კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ქცევა და მეტყველება არ შეესაბამება აღზრდის ელემენტარულ ნორმებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დიდად მოიკოჭლებს აღზრდისა და განათლების სისტემები როგორც ოჯახში, ასევე სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.**

ზოგიერთი ახალგაზრდის ქცევა საზოგადოებაში არა მარტო დამაფიქრებელი, არამედ შემაძრწუნებელიცაა: გოგონები და ბიჭები საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხალხის თვალწინ ერთმანეთს ეხვევიან, ლოშნიან, არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიან, ხალხი კი გაოგნებული უყურებს ამ სურათს და ხმას ვერავინ იღებს! საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოხუცები ფეხზე დგანან, ახალგაზრდები სხედან



და ლაზღანდარობენ, თითქოს თვალებზე ლიბრი აქვთ გადაკრული... საზოგადოება აქაც დუმს და ნიჰილიზმს მოუცავს. მრავალი ახალგაზრდის მეტყველება მათ უწიგნურობასა და უზნეობაზე მიუთითებს. ხშირად ისმის ამაზრზენი სიტყვები: „ჩემი დედა... „მამაჩემის... ვიყო“, რაც გაუგონარი ზნედაცემულობა და მიუტევებელი ცოდვაა!



სავალალო მდგომარეობაა თბილისის ქუჩებსა და ტროტუარებზე. თვით რუსთაველის და აღმაშენებლის გამზირებიც სავსეა პაპიროსის ნამწვავებით, ნაგავით, ნაფურთხითა და ნახველით! ვინც ამას სჩადის, ის (მკითხველთან ბოდიშს ვიხდი!) ყველას აფურთხებს, აბუჩად იგდებს დიდსა თუ პატარას. რას ისწავლიან ჩვენი ბავშვები მათგან? – საზოგადოება აქაც დუმილს ამჯობინებს. ყველა ფიქრობს, – რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, მაინც არაფერი არ გამოვაო. ვფიქრობ, ეს მცდარი აზრია. საჭიროა საზოგადოების მეტი აქტიურობა, რათა ძირშივე აღიკვეთოს ეთიკური ნორმების დარღვევის ყველა შემთხვევა. აუცილებელია სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, პატრულირება ქუჩებში და დიდი სანქციების დაწესება დამრღვევთა მიმართ. მხოლოდ ასეთი მეთოდებითაა შესაძლებელი ამ ზნეობრივი ნაკლოვანებების აღმოფხვრა. მკაცრი სანქციები აღზრდის მეთოდად ითვლება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. ნურავინ იფიქრებს, რომ საზოგადოებას, მით უმეტეს მოზარდებს აღზრდა არ სჭირდებოდეს. **„ტვინს ყველა ასაკში სჭირდება აღზრდა“, – ხშირად გვეუბნებოდა ლექციებზე ცნობილი პროფესორი, ფსიქიატრი ირაკლი მენთეშაშვილი.**

**სამწუხაროდ, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ დავკარგავთ მომავალს, ქვეყანაში უკულტურობის „კულტურა“ დამკვიდრდება. ამ უკულტურობის მეტასტაზები იმდენად შორს გაიდგამს ფესვებს, რომ მისი განკურნება ძნელი იქნება. განკურნების სადავეები კი სახელმწიფოსა და საზოგადოების ხელშია, ხოლო „სამკურნალო საშუალებას“ კანონი წარმოადგენს.**

**მამია მდინარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

მეზობლებთან

# ხატება XXI საუკუნის რუსეთისა

**მოსკოვში ყოფილა თანამედროვე განვითარების ინსტიტუტიც – ქართული აბრევიატურით „თაგანინი“ (რუსულით „ინსორი“). ის თურმე პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის „ტვინურ ცენტრად“ ითვლება; ჰოდა ამ ინსტიტუტს ახლახან გამოუქვეყნებია მოხსენება „XXI საუკუნის რუსეთი: სასურველი ხვალის სახე“, რომელსაც თავისი არსით შეუზანზარებია რუსეთის მთვლემარე პოლიტიკური ცხოვრება.**

მაინც რა არის ასეთი მოხსენებაში? აი, რა: მიმდინარე საუკუნეში რუსეთს სთავაზობენ 5-წლიან საპრეზიდენტო ვადისკენ დაბრუნებას, გუბერნატორების არჩევითობას, რეალური მრავალპარტიანობის დაშვებას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების ფედერალური საბჭოს დაშლას (!), ევროკავშირსა და **ნატო**ში შესვლას(!).

ქვეყნის გლობალური მოდერნიზაციის დასაწყისად მიჩნეულია პრეზიდენტის სტატია „რუსეთო, წინ!“ (რომელიც საქართველოში, მგონი „გამოგვეპარა“ – **თ. ე.**).

თანაც რეფორმირება რუსეთს მოუწევს იმ პირობებში, როცა „ერთობ ბევრი რამ განგვაწყობს ინერციისა და ლპობადისადმი, ნედლეულის ბაზრებზე კონიუნქტურით დაწყებული და პოლიტიკაში განწყობილებებითა და ხელისუფლების იმ რწმენით დამთავრებული, რომ შესწევს მასობრივი ცნობიერების მართვის უნარი“.

თაგანინელები („ინსორელები“!) ოპტიმიზმს ინარჩუნებენ. ახლა „საზოგადოება ვალდებულია, რომ ისარგებლოს მოდერნიზების შანსით, – ფიქრობენ ისინი. – ეგ იმიტომ, რომ ლაპარაკია თვით რუსეთის გადარჩენაზე, უკიდურეს შემთხვევაში იმისი ამჟამინდელი გეოსტრატეგიული პარამეტრებით, მოწინავე ერის სახით“.

...როგორი საქმეა – კრემლში გაგონებაც არ სურთ **ნატო**ში საქართველოს შესვლისა და ცოფებს ყრიან, ხოლო იმავე კრემლის „ტვინური ცენტრიდან“ იმავე **ნატო**სთან ქვეყნის გაერთიანებას ვარაუდობენ.

მართლაც რომ „რუსეთს ვერ გაუგებ გონებით, ვერც გულით, ვერცა რამ არშინით გაზომავ ვეროდეს“... – ფიოდორ ტიუტჩევი!..

**თამაზ ებანოიძე**

წკეპლიკა

# თამაში ჭვავის ყანაში და... ამ ქვეყანაში

**კაი ხანია, რაც თამაშ-თამაშით მოვდივართ და რასაა, რომ არ ვთამაობთ: დამოუკიდებლობანას, თავისუფლობანას, დემოკრატობანას, პარლამენტობანას, რეფორმობანას, კორუფციის მოსპობანას (არადა ბოლო ხანს ყოველდღე გვიჩვენებენ ტელეთი კორუფციის ფაქტზე დაკავებულ მოხელეთ), გზების დაგებობანას (ამ დროს ფილარმონიასთან ტროტუარი და პარლამენტთან პირველი სკოლის მხარეს აღმართი ვერ მოუწესრიგებიათ), საზღვარგარეთ ვიზიტობანას, მოლაპარაკებობანას, ხელშეკრულობანას, ნატოობანას... აუ, რამსიგრძე ნუსხა გამოვიდა და კიდევ როა ამაზე გრძელი!..**

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა: **გურიაში პრეზიდენტის მასპინძლობანასაც ვთამაშობთ და მოთამაშენი** იქ უნდა გენახათ, აი!..

ამჟამად დიდის გატაცებით ვთამაშობთ ადგილობრივ არჩევნობანას და სასაცილო ის არის, რომ ამ თამაშში მთელი სერიოზულობით ჩაბმულა ოპოზიცია. ეს მაშინ, როცა ბავშვმაც კი იცის, რომ თბილისის მერი კვლავ გიგი უგულავა იქნება და რამდენიც არ უნდა ეცადონ და საარჩევნო ყუთებში, გინდა ბიულეტენებში ჩაძვრნენ, ამას ვერავინ ვერ უგულებელყოფს!..

ისე, თქვენც შეამჩნიეთ ალბათ, ბოლო ჟამს ბატონი გიგი ყოველდღე და დღეში რამდენჯერმე სულ სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირად სახელისუფლებო ხელით ყელში წაჭერილი ტელეარხით გვეჩითება, თითქოს იმის მეროზა მისაჩვევი გვქონდეს... ამ კაცმა, ეტყობა, უკვე დაიწყო **წინასაარჩემო** (მე არჩევნებისა არცა მჯერა და არც ვაპირებ მონაწილეობას) კამპანია.

სხვათა შორის, სულ ახლახან არჩევნობანას თამაშის გაგრძელება და მოთავეობა ახლადდანიშნულმა ცესკომ იკისრა და სხდომების ჩატარება დაიწყო მაშინ, როცა ამ ახალი **ყალიბის** ცესკოელებს საკუთარი საბუდარის სახელიც ვერ გამოუთქვამთ სწორად და ცე-ეს-კოს გაიძახიან „ცესკოს“ ნაცვლად...

...ანა-ბანა, ანა-ბანა, ჩვენ გვიყვარს არჩევნობანა – ტაშიი!.. ანა-ბანა, ანა-ბანა, ვის ჰყავს მიშა ჩვენისთანა, ტუშიი!..

**ლუკა გორგაძე**

◎ აღიარება

# წლის გამორჩეული მკვლევარი

***ამ დღეებში ირანიდან დაბრუნდა ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი, პროფესორი ჯემშიდ გიუნაშვილი, რომელიც მონაწილეობდა ირანის ყოველწლიურ დიდ საერთაშორისო ღონისძიებაში.***

***ბატონ ჯემშიდს ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი.***



პრეზიდენტი, დოქტორი მაჰმუდ აჰმადინეჟადი გულითადად ულოცავს პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილს. მარცხნივ ისლამური პარლამენტის მეცნიერებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ირანის ენისა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ჰადად ადელი.

**— როგორ ჩატარდა, ბატონო ჯემშიდ, ამჯერად საიუბილეო დღეები ირანში?**

— მოგეხსენებათ, 11 თებერვალი ირანის ისლამური რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულია, ისლამური რევოლუციის გამარჯვების დღეა. ტრადიციულად თებერვლის პირველი რიცხვებიდან 20-25 თებერვლამდე თეირანში ტარდება საერთაშორისო და სრულიად ირანის ღონისძიებები, რომლებიც ასახავენ მრავალმილიონიანი, მრავალეროვანი და მრავალკონფესიური ქვეყნის მიღწევებს განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, მშრომელთა მხატვრული თვითშემოქმედების დარგებში.

**— წლეულს რა ნომინაციებით გაიმართა თეირანის საერთაშორისო კონკურსი?**

— ისლამური რევოლუციის გამარჯვების 31 წლისთავთან დაკავშირებით 8 თებერვალს თეირანის რუდაქის სახელობის კულტურის კომპლექსის „ერთობის დარბაზში“ შედგა ნომინაციით — „წლის წიგნი“ და ნომინაციით — „წლის გამორჩეული მკვლევარი“ საერთაშორისო კონკურსის დასკვნითი ნაწილი.

**— იქნებ უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ კონკურსის თაობაზე.**

— კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელიც აერთიანებდა ირანის და უცხოეთის 49 სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით, რელიგიებისა და ისლამის შემსწავლელ, ხელოვნებათმცოდნეობის და სხვა დარგების დაწესებულებებს, განიხილა 2500 განაცხადი. „წლის წიგნის“ ავტორის საპატიო წოდების მოპოვების კანდიდატთა გვარები და წარდგენილი წიგნების, შრომების ნუსხა გამოქვეყნებულია აზერბაიჯანულ, ალბანურ, ამჰარულ, არაბულ, ბენგალურ, ბერძნულ, ბოსნიურ, ბულგარულ, გერმანულ, ესპანურ, თურქმენულ, თურქულ, იაპონურ, ინგლისურ, ინდონეზიურ, იტალიურ, კორეულ, რუსულ, სერბულ, სომხურ, სპარსულ, სუაჰილის, ტაილანდურ, ტაჯიკურ, ურდუს, ფრანგულ, ყაზახურ, ჩინურ, ჰინდის ენებზე. წარდგენილი 2500 წიგნის განხილვის პირველი ეტაპის შედეგად დამატებით განსახილველად აირჩა 342 წიგნი, ხოლო საბოლოოდ გაიმარჯვა 68 წიგნის ავტორმა — ეგვიპტიდან, ესპანეთიდან, ინგლისიდან, ირანიდან, იტალიიდან, პაკისტანიდან, რუსეთიდან, საბერძნეთიდან, საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან.

დასკვნითი ცერემონიალი დაიწყო ირანის ისლამური რესპუბლიკის ჰიმნით, წმინდა ყურანის ფრაგმენტის წაკითხვით. შემდეგ კულტურისა და ისლამური დამოძღვრის მინისტრის მოადგილემ (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ) დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

თავის მოხსენებაში დოქტორმა აჰმადინეჟადმა დაახასიათა ირანის ისლამური რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგებში, აღნიშნა განვითარების პერსპექტივები.

შემდეგ საქართველოს წარმომადგენელმა, ანუ მე, წავიკითხე მოხსენება „საქართველო-ირანის ისტორიულ-კულტურული ურთიერთგავლენის შესახებ“.

ეგვიპტის წარმომადგენელმა პროფესორმა აბდულაზიზ სახედინმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ისლამის ბიომედიკული ეთიკა“.

„წლის წიგნის ავტორის“ ნომინაციით საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულებს შესაბამისი სამთავრობო სიგელი გადასცა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა, დოქტორმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა.

„წლის გამორჩეული მკვლევარის“ საპატიო წოდება წილად ხვდა საქართველოს ირანისტთა წარმომადგენელს — თქვენს მონა-მორჩილს. ირანის პრეზიდენტმა, დოქტორმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა გულწრფელი პატივისცემით მომილოცა და მიბოძა სიგელი.



პროფესორ ჯემშიდ გიუნაშვილის გამოსვლა.



არაოფიციალურ, მეგობრულ ვითარებაში.

**— თქვენი მოხსენების გარდა, კიდევ რაიმე სახით ხომ არ იყო საქართველო წარმოდგენილი?**

— მე ფრიად კმაყოფილი და მოხარული ვარ, რომ ორი ქართველი თითქმის ერთდროულად ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის ღირსებასა და ტრადიციულ ზნეობრივ ფასეულობებს: იმ დღეებში თეირანის კინოთეატრებში გადიოდა ირანელი კინოდოკუმენტალისტების მიერ შექმნილი ფილმი „სამოთხის ბინადარი პოეტი“, რომელიც ეძღვნება ჩვენი დაუვიწყარი ვახუშტი კოტეტიშვილის შემოქმედებას.

ესაუბრა
**გურამ წიკლაური.**

◎ ინფორმაცია

## ირანი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს

**ირანი** საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს.

— ეს ირანის პოლიტიკურ გეგმებში არ შედის, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურმა თეირანმა ქართული აგრესია დაგმო და მზადყოფნა გამოთქვა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღსადგენად თანხებიც გამოყოს, — განცხადება ამის შესახებ რუსეთში ისლამური რესპუბლიკის ელჩმა სეიედ მახმუდრეზმა რადიო “ეხო მოსკვიში“ სტუმრობისას გააკეთა.

ამასთან, დიპლომატის განმარტებით, თეირანს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ობიექტებად აღიარება დაუშვებლად თუნდაც იმის გამო მიაჩნია, რომ ამით სხვა სეპარატისტული რეგიონებისთვის პრეცედენტი არ შეიქმნას.

— ირანს არც კოსოვოს დამოუკიდებლობა ულიარებია, — განმარტა სეიდ მახმუდრეზმა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ბრიფინგი

# ვინ დგას „კარტოფილის მაფიის“ უკან?

## ჯავახელებმა მთავრობას „ნობათი“ გამოუგზავნეს

**გასული კვირის განმავლობაში ქრისტიან-დემოკრატებმა სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე სოფელი მოიარეს. ჯავახეთში პოლიტიკური ფონის გაუარესების ნაცვლად, რომელსაც ექსპერტები ვარაუდობდნენ, ქრისტიან-დემოკრატებმა იქ უპირველესად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები დაინახეს.**

ამის შესახებ გუშინ ბრიფინგი გამართა დეპუტატმა **ლევან ვეფხვაძემ**. მისი განცხადებით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმძიმეს ყოფას ხელისუფლების სრული უყურადღებობა ქმნის.

**„ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გასვლის შემდეგ, 2006-2007 წლებში პრეზიდენტი ჯავახეთის მოსახლეობას დაპირდა, რომ საქართველოს მთავრობა შეიარაღებული ძალებისთვის მათ მოწეულ კარტოფილს შეიძენდა და ამით ადგილობრივებს სოციალურ მდგომარეობას გაუუმჯობესებდა, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ — ახლა კი მოსახლეობა პრეტენზიებს გამოთქვამს იმის გამო, რომ პრეზიდენტმა პირობა არ შეასრულა, სამაგიეროდ, მთელი შემოდგომა ხედავდნენ, როგორ შემოდიოდნენ კარტოფილით დატვირთული სატვირთო მანქანები თურქეთიდან და სომხეთიდან, როგორ შემოიტანეს ათასობით ტონა იაფფასიანი, დაბალხარისხიანი კარტოფილი მეზობლებიდან. ისინი ამტკიცებენ, რომ სწორედ ეს კარტოფილი შეიძინეს საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის“.**

ვეფხვაძემ მთავრობის ეს ჟესტი „კარტოფილის მაფიად“ მონათლა. ის ამბობს, რომ ჯავახეთის გლეხობა სარჩოს გარეშე საქართველოს მთავრობამ დატოვა, ხოლო ქართველ ჯარისკაცებს უხარისხო კარტოფილით კვებავს.

დეპუტატმა ბრიფინგზე ის კარტოფილი უჩვენა ჟურნალისტებს, რომელიც მას ჯავახელებმა გამოატანეს და მთავრობის წევრებს მიმართა: **„ადგილობრივმა მოსახლეობამ თქვენთვის კარტოფილი გამოგვატანა, დააგემოვნეთ და შეადარეთ იმას, რასაც ჯარში მიირთმევენ. იმედია, ამის შემდეგ მაინც გაგიჩნდებათ სურვილი, ჩახვიდეთ ადგილზე და ნახოთ, რა უჯდება გლეხს კარტოფილის მოყვანა. საბაზრო ფასი თვითღირებულებაზე ბევრად ნაკლებია. მოსახლეობა ზარალდება და სარდაფებში უწყვიათ კარტოფილი, სხვათა შორის, იგივე ეხება სტაფილოს“,** — აღნიშნა მან.

ჯარის გამოსაკვებად პრეზიდენტი არათუ კარტოფილის, არამედ რძის პროდუქტების შეძენასაც ადგილობრივი მოსახლეობიდან აპირებდა, მაგრამ არც ეს პირობა სრულდება.



რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის პოლიტიკურ ფონს, ვეფხვაძე ამტკიცებს, რომ ანტიქართული განწყობა იქ არ არის, თუმცა საშიშროება და „ნაღმი“ იქნება მანამ, სანამ არ მოგვარდება ელემენტარული სოციალური პირობები. **„ამიტომაც ვამბობ, რომ „ჯავახეთს აქვს არა პოლიტიკური, არამედ სოციალური პრობლემა, აღნიშნა მან. ავიღოთ, თუნდაც რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანასთან დაკავშირებული უკმაყოფილება. მოსახლეობას იმიტომ არ უნდოდა რუსი ჯარისკაცების გასვლა, რომ თვითონაც იქ იყვნენ დასაქმებული და შემოსავალი ჰქონდათ. ჯარები გაიყვანეს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ალტერნატიული რამე შესთავაზა? არა!** — დასძინა დეპუტატმა.

**თეა მოსია**

საგარეო ვალი

# სიდუხჭირის თხუთმეტი წელიწადი

**სახელმწიფო ბიუჯეტების შედგენა საერთაშორისო სტანდარტების ოთხ ძირითად პრინციპს ეყრდნობა. ესენია ხელმისაწვდომობა, გამჭვირვალობა, დამუშავების ტექნიკური სიმარტივე და სხვადასხვა დოკუმენტის ერთმანეთთან შესაბამისობა.**

როცა ლაპარაკია ბიუჯეტის პარამეტრების ხელმისაწვდომობაზე, ამ მხრივ საქართველოს ბიუჯეტის შემდგენელთა მიმართ არავითარი პრეტენზია არ არის, ვინაიდან ისინი ყველა მსურველისთვისაა ხელმისაწვდომი – ინტერნეტში შესაბამის საიტზეა განთავსებული. იგივეს თქმა შეიძლება მის გამჭვირვალობაზე, თანაც ინფორმაცია ზოგიერთ საკითხზე ზოგჯერ იმდენად ჭარბადაა, რომ შეიძლება მკვლევარს გზა-კვალიც აერიოს. რაც შეეხება დამუშავების ტექნიკურ სიმარტივეს, ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა, რისგამოც ექსპერტები ეჭვობენ, რომ, როგორც ჩანს, მთავრობას ნაკლებად აქვს იმის სურვილი, რომ ქვეყნის მთავარ ფინანსურ კანონს მაინცდამაინც ბევრი ხალხი უკირკიტებდეს და, სხვათა შორის, სხვადასხვა დოკუმენტის ერთმანეთთან შესაბამისობასაც ამოწმებდეს.

ამ შემთხვევაში იგივეს თქმა შეიძლება საქართველოს საგარეო ვალის თაობაზე, თუმცა, სპეციალისტთა გარკვეული ძალისხმევით და ზოგადი ანალიზით, გარკვეულწილად მაინც შესაძლებელი გახდა ზოგიერთი მონაცემის დაზუსტება.

მიუხედავად იმისა, რომ „სრ“ ადრეც წერდა ამ თემაზე, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ **ექსპერტები თავადვე ცდილობენ იმის დადგენას, თუ რა მიღებული სახსრები უნდა ჩაითვალოს საგარეო ვალად, და ამაზე ერთიანი, საყოველთაოდ გაზიარებული აზრი არ არის.**

გარდა იმისა, რომ 2005-2006 წლებში საქართველოს საგარეო ვალმა შემცირება დაიწყო (ეს, უწინარესად, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებით კი არა, დოლარის მიმართ ლარის მომგებიანი გაცვლითი კურსით იყო განპირობებული), 2007 წელს ოკეანის გაღმიდან ჩვენამდე მოღწეული კრიზისისა და, მით უმეტეს, 2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად განვითარებული პროცესების წყალობით, შარშანდელი წლის ჩათვლით, საქართველოს საგარეო ვალი კვლავ გაიზარდა, თანაც საგრძნობლად. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბევრი ქვეყნის გარდა, ჩვენი ძირითადი მევალეები არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის, ასევე აზიის განვითარების ბანკები.

კონკრეტულად რომ ვილაპარაკოთ, **2010 წლის დამლევამდე საქართველოს 95,5 მილიონი დოლარის გადახდის ვალდებულება აქვს ნაკისრი, ხოლო გაისად, 2011 წელს, სახელმწიფოს, ანუ ჩვენ ყველას, უკვე 124 მილიონ დოლარზე მეტი გვექნება გადასახდელი. ეგ კიდევ არაფერი, გაცილებით „საინტერესო“ წინ გველის: 2012 წელს გასასტუმრებელი თანხა კიდევ უფრო მეტია და 275,4 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო საკრალურ 2013 წლის დასასრულამდე საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციებს, არც მეტი, არც ნაკლები, 771,7 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს!**

ცნობისთვის ასევე ვიტყვით, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველოს სახსრები 2008 წელს, ხუთი წლის ვადით გამოუყვეს და ეს ვადა, როგორც ადვილი დასათვლელია, 2013 წელს იწურება. აქვე იმასაც გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ ზემოაღნიშნული ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, **თუ ვალების გასტუმრების ვადები არ დაირღვევა, ხოლო თუ ეს, ნებისმიერი ვალის – სახელმწიფო იქნება ის თუ კერძო – დაბრუნების აუცილებელი პირობა დაირღვა, მევალეები, ცხადია, საქართველოს „მრიცხველს ჩაურთავენ“ და, შესაბამისად, გადასახდელი თანხა ყოველთვიურად გაიზრდება.**

ექსპერტები ვარაუდობენ და ეს პროგნოზი დიდად სასიხარულო არ არის, რომ როგორც ფინანსური, ასევე ეკონომიკური სიძნელეების პერიოდი საქართველოში სულ მცირე კიდევ დაახლოებით 15 წელიწადს, 2025 წლამდე გასტანს. მათ შორის ერთ-ერთი მძიმე კი 2013 წელი იქნება.

ამდენად, თუკი ფინანსებისა და ეკონომიკის სფეროების სპეციალისტებსა და ექსპერტებს ვენდობით, ხოლო მთელი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მათდამი უნდობლობის გამოცხადების რეალური საფუძველი არ გაგვაჩნია, წინ ეკონომიკური გაჭირვებისა და ფინანსური სიდუხჭირის სულ მცირე კიდევ თხუთმეტი წელი გვიძევს. ამ დროში დღევანდელი მოზარდები, გოგობიჭები ჩამოყალიბებული ადამიანები, ოჯახის პატრონები იქნებიან. ნეტავ ისე მოხდეს, რომ აღმავლობის ხანის დაწყება მათ მაინც შეძლონ.

ჩვენ კი, ჩვენ რა ვქნათ?

რა და ქამრებს მაგრად მოვუჭიროთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია თემაში

***ნაკისრი ვალდებულებებით აღებულ ვალში საქართველო ყოველწლიურად ძირითადი თანხის 7,5 პროცენტს იხდის. ამდენად, პროცენტების სახით სახელმწიფო 2011 წელს ზედმეტად 70 მილიონ დოლარს გადაიხდის, 2012 წელს – 68 მილიონ დოლარს, ხოლო 2013 წელს – 45,7 მილიონ დოლარს.***



რამდენს გვპარავენ?

***არიან ჩინოვნიკები, რომლებიც თანამდებობაზე დანიშვნისას სახელისუფლებო კაბინეტებში ისე შეიპარებიან და ჩამოლაბორანტებისას ისევე ფეხაკრეფით გამოიპარებიან, რომ მთავრობის ჭრაჭუნა პარკეტზე უბრალო ნაკვალავესაც არ ტოვებენ. ეს „მსუბუქი“ ჩინოვნიკები, მაგრამ „მძიმეწონოსნებიც“ ხომ არიან, ისეთები, მაგალითად, როგორიც კახა ბენდუქიძეა, რომლის შეტანისა და გამოტანისას, როგორც გადმოგვცემენ, ქვეყნის პრეზიდენტსა და პრემიერს სახელმწიფო მინისტრის კაბინეტის კარის ჩამოხსნა დასჭირდათ. რა თქმა უნდა, ბენდუქიძის გამოუტევლობაში მარტო მის გოლიათურ აღნაგობას არ მიუძღვის ბრალი, აქ უფრო მეტად ლაპარაკია იმ გოლიათურ ლიბერალურ ეკონომიკურ იდეებზე, რომელთა წყალობითაც ბატონი კახას მთავრობიდან გამობუნძულების შემდეგადაც ქართული ეკონომიკა და ცხოვრება „მაძღრისად“ იკვებება.***

# ლიბერალური ეკონომიკა თუ გამჭვირვალე ყაჩაღობა?!



## საწვავმა ხალხის ბიუჯეტი გადაწვა

რატომ აიკვიატა კახა ბენდუქიძემ მაინც და მაინც ლიბერალობა ისეთ ავტორიტარულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სადაც ყველა და ყველაფერი ერთი პიროვნების ამბიციურ გადაწყვეტილებებს ემორჩილება, ცოტა არ იყოს გაუგებარია, მაგრამ რა მიზნებს ისახავდა ასეთი აკვიატება, დღეს უკვე ცხადზე უცხადესია. მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის „უტყუარი ლოგიკით“, ყველაზე დიდი ბარიერი, რაც ქვეყანაში ლიბერალური ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლიდა, ეს იყო ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც, მისი აზრით, კორუმპირებულ მოხელეთა საბუდრად და მექრთამეობის განვითარების პირველწყაროდ აღიქმებოდა. ამიტომაც დაეჯახა ბატონი კახა თავის ზორბა მხრებით (და მუცლითაც!) ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას და მისგან ნასახიც აღარ დატოვა. სამაგიეროდ თავი წამოყვეს მონოპოლისტურმა კომპანიებმა, რომლებმაც ქვეყანაში არაკონკურენტული გარემოს შესაქმნელად ნოყიერი ნიადაგი ნახეს და ბაზარი ფაქტობრივად მონოპოლიზებული გახადეს. რა თქმა უნდა, ეს კომპანიები, რომლებიც ბაზარზე მაღალი ტარიფებითა და კარტერული ფასებით ოპერირებენ, ხელისუფლების პირველ პირებთან და მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკობასთან მჭიდრო ალიანსში მოქმედებენ. არის ცალკეული დარგები და სფეროები, სადაც მონოპოლიური კომპანიების ბიზნესს უშუალოდ ქართველ ხელისუფალთა ოჯახური კლანები მართავენ. ამ უკანასკნელთა წყალობით, მონოპოლისტები ქვეყნის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ძარცვით ზემოგებას იღებენ და მოქალაქეებს ჯიბიდან უკანასკნელ გროშებს სძალავენ.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა თაღლითური საქმიანობა, რომლებსაც ბენდუქიძისეული ლიბერალური რეფორმების წყალობით, საშუალება ეძლევათ, ისე გააძვირონ საწვავი, რომ არავის არაფერი ჰკითხონ და თუ ახსნაგანმარტება მოსთხოვეს, პასუხიც არ გაღირსონ. ასე მოხდა ამ ორიოდე კვირის წინათ, როცა ნავთობკომპანიებმა ლარის მცირე გაუფასურება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს და საწვავი უმალ 15 თეთრით გააძვირეს, რასაც შესაბამისად ტრანსპორტისა და პროდუქტების გაძვირება მოჰყვა. ზოგმა ეს იქნებ არაფრად ჩააგდოს, იფიქროს, ინაღვლონ იმათ, ვისაც ავტომანქანა ჰყავს, თორემ მე რა მომაკლდებაო. სწორედაც რომ მოაკლდებათ, ნებისმიერი პროდუქტის თვითღირებულებაში ხომ საწვავის ხარჯიც შედის(!). ასე რომ, ნავთობკომპანიები არა მარტო ავტომფლობელების, ყველა ჩვენგანის ჯიბიდან იპარავენ ფულს.

მაინც რამდენს გვპარავენ, არ გაინტერესებთ? ჩემმა კოლეგებმა გაზეთ „ბანკები და ფინანსებიდან“, რადგან თავად ნავთობკომპანიებიდან ამ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღეს, გადაწყვიტეს ეს არც თუ მარტივი ამოცანა თავად ამოეხსნათ. ვფიქრობ, მათი კვლევის შედეგი არც ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის იქნება უინტერესო. მოდით, მივყვეთ ფაქტების მსვლელობის ლოგიკას და ვნახოთ სადამდე მიგვიყვანს.

როგორც უკვე ვთქვით, ბოლო პერიოდში, საწვავზე ფასი 15 თეთრით გაიზარდა და 1.77 ლარი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ფასების დაუსაბუთებელ ზრდას საზოგადოების მწვავე რეაქცია მოჰყვა, „ვისოლმა“ გამბედაობა გამოიჩინა და ყველაზე უფრო მოთხოვნადი რეგულარის ტიპის ბენზინზე ფასი 1.8 ლარამდე ასწია. კი ასწია, მაგრამ რა ობიექტური მონაცემების საფუძველზე? სწორედ ამის დადგენას შეეცადნენ ჟურნალისტები. დღეს საქართველოში 1 ტონა საწვავი ღირს 1180 ლარი. თუ მაჩვენებელს დავუმატებთ აქციზის გადასახადს – 250 ლარს და ტრანსპორტირების ღირებულებას – 21 ლარს, ტონა ბენზინის ფასი გაიზრდება 1451 ლარამდე. გადავიყვანოთ ტონა ბენზინი ლიტრებში (გამოვა 1297 ლიტრი), – ერთი ლიტრი ბენზინის ფასი იქნება 1.12 ლარი. ამას უნდა დავუმატოთ მომსახურების და ცვეთის ხარჯი – 2 თეთრი, ფასი აიწევს და გახდება 1.14 ლარი. მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საწვავით მოვაჭრე კომპანიების მოგება შეადგენს 3-5 პროცენტს. ამის გათვალისწინებით, ერთი ლიტრი საწვავის ღირებულებას დაემატება 4-6 თეთრი და საცალო ქსელში გასაყიდად გატანილი საწვავის ფასი იქნება 1.2 ლარი. თუმცა, სანამ პროდუქტი გაიყიდება, მას ემატება დამატებული ღირებულების გადასახადი (პროდუქციის სარეალიზაციო ფასის 18 პროცენტი). ეს თანხაც რომ დავუმატოთ, გამოდის, რომ საქართველოში ერთი ლიტრი რეგულარის ტიპის ბენზინი უნდა ღირდეს 1.26 ლარი.

**ეს რას ნიშნავს? იმას, რომ მსხვილი ნავთობკომპანიები, რომლებიც ამ ტიპის ბენზინს 1.7-1.8 ლარად ყიდიან, ყოველ მომხმარებელს ჯიბიდან ზედმეტად ლიტრში მინიმუმ 50 თეთრს აცლიან. თუ ვიანგარიშებთ, რომ საქართველოს მოსახლეობა თვეში საშუალოდ მოიხმარს 60 000 000 ლიტრ ბენზინს, გამოდის, რომ ყოველთვიურად მას ყაჩაღურად სძალავენ 300 000 000 ლარს(!?), ცხადია, ეს ასტრონომიული „მოგება“ ნავთობის იმპორტიორებთან ერთად იმათ ჯიბეებშიც ილექება, ვინც მათ მთავრობის მაღალი ეშელონებიდან მფარველობს და „პარტნიორობს“.**

ამის შემდეგ არც თუ ძნელი მისახვედრია, რა მუცლის გვრემა აწუხებდა თავის დროზე სახელმწიფო მინისტრის სავარძელში მოკალათებულ კახა ბენდუქიძეს, როცა თავს მსოფლიოში ნომერ პირველ რეფორმატორად და ლიბერალური ეკონომიკის უწმინდეს და უნეტარეს სპეციალისტად ასაღებდა. ისიც გასაგებია, ამ ცოტა ხნის წინათ პრეზიდენტი სააკაშვილი ბენდუქიძის იდეებზე აგებული „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ ინიციატორად და ავტორად რატომ მოგვევლინა. ქვეყანაში უაღვიროდ მიშვებულმა ეკონომიკამ ვის მოუტანა მუქთა მილიონები და ვის კიდევ სიღატაკე და შიმშილი, ამას დღეს ბრმაცა ხვდება.

**ოთარ ხუციშვილი.**

***P. S. როგორც ჩანს, ნავთობკომპანიების თავკაცებმა საწვავის ფასი „ზუსტად დაიანგარიშეს“ და ბოლო ორი დღეა მას 5-7 თეთრი დააკლეს. უხერხულობისგან ერთგვარად ხელისუფლებაც შეიშმუშნა და, როგორც ამბობენ, თურმე ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენას აპირებს. დავიჯეროთ?!***

***ო. ხ.***

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# ფრანგული „ვალენტინკა" რუსეთისთვის

**„დი უოლსტრიტ ჟორნელი" სარედაქციო სტატიაში აკრიტიკებს და არცხვენს საფრანგეთის ჩინოვნიკებს პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მეთაურობით რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისთვის შვეულმფრენმზიდ „მისტრალის" მიწოდებასთან დაკავშირებით.**

გაზეთის თვალსაზრისით, რუსეთი ამჟამად აწარმოებს „უკანონო ოპერაციებს" „სუვერენული ქვეყნის" (საქართველოძ ტერიტორიებზე, რაც არღვევს, კერძოდ, სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელსაც ნიკოლა სარკოზი თავის უდიდეს დიპლომატიურ წარმატებად მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით, გაზეთს „გასაოცრად" მიაჩნია, რომ პარიზმა შესაძლებლად ჩათვალა მოამარაგოს რუსეთის ფლოტი გემით, რომელიც „მორიგი" კონფლიქტის დროს საშუალებას მისცემს რუსეთს, მიაყენოს საქართველოს უფრო დიდი ზიანი, ანდა „რომელიმე სხვა მეზობელს (სახელმწიფოსძ, რომელსაც აქვს გასასვლელი ზღვაზე და ეწინააღმდეგება ვლადიმერ პუტინის იმპერიულ ზრახვებს.

washingtonpost.com

# ნიკარაგუელები მზად არიან კავკასიამდე ავტობუსით მივიდნენ

**ნიკარაგუას პრეზიდენტი დანიელ ორტეგა მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. „ჩვენ ვიცით იმ ომის შესახებ, რომელსაც ეს ხალხები ეწევიან. მათ შეუძლიათ იქონიონ ნიკარაგუას ხალხის სოლიდარობის იმედი", – განაცხადა მან რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან მოლაპარაკების დროს. რუსი მინისტრი ნიკარაგუას დედაქალაძ მანაგუაში ჩავიდა ლათინურ ამერიკაში თავისი ტურნეს დროს. ის იყო აგრეთვე კუბაში და გვატემალაში, დღეს კი მექსიკაში მიემგზავრება.**

ლათინური ამერიკის ლიდერები, თითქოს ერთმანეთს შეუთანხმდნენო, მისალმებებს ლავროვის მეშვეობით გზავნიან მოსკოვში, თანაც ერთბაშად ორივეს – პრეზიდენტისა და პრემიერის მისამართით. დანიელ ორტეგამ აგრეთვე სთხოვა მას „გადასცეს სალამი პრეზიდენტ მედვედევსა და ამხანაგ პუტინს". და კიდევ „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებს". სტუმარმა რუსეთიდან უპასუხა, რომ ამ სახელმწიფოთა განმტკიცებას „შეაქვს წვლილი ისეთი ახალი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ფორმირებაში", სადაც ადგილი არ ექნება „ბლოკურ დაპირისპირებებს".

ნიკარაგუელთა უმრავლესობამ არაფერი იცის კავკასიის შესახებ. მათ არც გაუგონიათ ამ შორეული ქვეყნების შესახებ, რომელთა დამოუკიდებლობაც დანიელ ორტეგამ აღიარა 2008 წლის სექტემბერში. მაშინ პრეზიდენტმა გამოიყენა, რომ მის ბრძანებას აქვს უმაღლესი ძალა, მას საჭიროდაც კი არ ჩაუთვლია მიეღო პარლამენტის მხარდაჭერა. მმართველ „სანდინიის ეროვნული გათავისუფლების ფრონტს" იქ ყველაზე ცოტა ხმები აქვს. ნიკარაგუელთა უმრავლესობა ჩვენი გაზეთის მიმომხილველის შეკითხვაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესახებ მხოლოდ მორცხვად იღიმის და ხელებს განზე შლის. „საქართველო? ასეთი ქვეყანა მე არ ვიცი", – მიპასუხა გამყიდველმა ხუანმა, რომელიც ბაზარზე სუვენირებს ჰყიდდა. მას გაეხარდა, როცა ამ ქვეყნის სახელწოდება ინგლისურად გაიგონა: „ჰოო, ჯორჯია! ეს კი ვიცი. ეს ხომ აქიდან ახლოსაა". თუმცა იქვე გაირკვა, რომ მას მხედველობაში ჰქონდა იმავე სახელწოდების შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში. აი მოსკოვი კი აქ კარგად იციან და უყვართ კიდეც – ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან.

ცენტრალური ამერიკის უნივერსიტეტში, რომელსაც რუსეთის დელეგაციამ გადასცა რუსული ენის კაბინეტის ჩამოსაყალიბებლად წიგნები, ასევე ძალიან ცოტამ თუ იცის იმის შესახებ, თუ რა მოხდა კავკასიაში ორი წლის წინათ და თავისი ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ ამ მოვლენებთან. იქ ხომ მაინც ხალხი უმაღლესი განათლებითაა. „ეს არავის არ აინტერესებს. მე კი ვიცი, ვინაიდან წარმოშობით რუსეთიდან ვარ. დანარჩენებისთვის კი მთავარია ის, რომ მანაგუას ქუჩებში გამოჩნდა რუსული წარმოების ავტობუსები. ეს მოძველებული ამერიკული ავტობუსების კარგით შეცვლაა. იმ ძველი ავტობუსებით ჩვენ ოც წელზე მეტი ხანია დავდივართ", – გვითხრა პოეტმა ელენა რამოსმა. ის იაროსლავლიდან არის წარმომავლობით, მანაგუაში ჩავიდა თავის ნიკარაგუელ ქმართან ერთად, რომელიც საბჭოთა კავშირში სწავლობდა.

ნიკარაგუა თავისი ექვსმილიონიანი მოსახლეობით – ღარიბი ქვეყანაა. ბიუჯეტში არ არის სახსრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებებისთვის. ამიტომ 120 პატარა ავტობუსი, რომელიც შარშან უფასოდ გადასცეს, მეტად დროული აღმოჩნდა. სხვათა შორის, მოსკოვი დაეხმარა ნიკარაგუას 2008 წლის მოვლენებამდეც. „რუსეთი გააგრძელებს ჰუმანიტარული დახმარების გაწევას ავტოტრანსპორტის საშუალებებით, საავიაციო ტექნიკით, მედიკამენტებითა და განნაღმვის ტექნიკით", – დაჰპირდა მათ სერგეი ლავროვი.

ერთობლივ კონფერენციაზე ნიკარაგუას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განიხილება აგრეთვე რუსების მიერ ჰოსპიტლის მშენებლობის საკითხი, ალბათ, თავად დედაქალაქში: „ადგილი ჯერ არ განგვისაზღვრავს". მან წამოაყენა წინადადება სპორტში თანამშრომლობის შესახებ: „იქნებ აქ ჩამოვიდეს რუსეთის ფეხბურთის გუნდი? ან იქნებ ჩვენთან ჩამოვიდნენ საუკეთესო ფეხბურთელები?"

სამაგიეროდ იგი მზად არის დაეხმაროს რუსეთს ბეისბოლით – სპორტის ეს სახეობა ნიკარაგუაში განვითარებულია. ეს ინიციატივა თავისი მიმტევებლური ღიმილით მოიწონა ორტეგას გვერდით მჯდომმა მეუღლე როსარიო მონირიომ. მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პოსტი უკავია ქვეყანაში. და საგარეო საქმეთა მინისტრთან სამუელ სანტოსთან ერთად ასევე მიიღო მონაწილეობა მოლაპარაკებაში.

ელენა სუპონინა

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

# საქართველოში ყაზახეთის დახმარების იმედი აქვთ

**საქართველოში ორდღიანი ვიზიტით ჩადის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) მოქმედი თავმჯდომარე, ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კანატ საუდაბაევი. თბილისში იმედი აქვთ ეუთოში ყაზახეთის თავმჯდომარეობისა და ფიქრობენ, რომ ეს ქვეყანა სხვებზე უკეთ გაიგებს პოსტ-საბჭოთა სივრცის პრობლემებს.**

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა მხარი არ დაუჭირა ეუთოსა და გაეროს მისიების მუშაობას საქართველოში, მოითხოვდა, რომ კავკასიის ახალ სახელმწიფოებში უნდა გაიხსნას ამ ორგანიზაციების დამოუკიდებელი მისიები. მაგრამ თბილისში ეს წინადადება შეაფასეს, როგორც თავდასხმა თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე. ამჟამად საქართველოში უკვე აღარ არიან გაეროსა და ეუთოს მეთვალყურეები, რომლებიც აქ იმყოფებოდნენ 1990-იანი წლების დასაწყისიდან, შესაბამისად, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში. შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს ორასზე მეტი მეთვალყურე 2008 წლის ოქტომბრიდან აწარმოებენ სიტუაციის მონიტორინგს საქართველოს რაიონებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მახლობლად, მათ ახალ რესპუბლიკებში შესვლის საშუალება არ გააჩნიათ.

ევროსაბჭო, ეუთო და გაერო კავკასიაში უშიშროების საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეები არიან. დისკუსიები რეგულარულად ეწყობა ჟენევაში 2008 წლის მოვლენების შემდეგ. მათში მონაწილეობას ღებულობენ თბილისის, სოხუმის, ცხინვალის, მოსკოვისა და ვაშინგტონის დელეგაციები. მაგრამ მეცხრე რაუნდის დროს მიმდინარე წლის იანვარში ვერ შეძლეს, რომ საქართველომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ. ამის შემდეგ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის მუდმივმა წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა ჟენევის შეხვედრებს „უნაყოფო" და „ჩიხში შემავალი" უწოდა.

მან არ გამორიცხა, რომ ამ დისკუსიებიდან ცხინვალი შეიძლება გამოვიდეს, ვინაიდან მოლაპარაკებაში არ ითვალისწინებენ „არსებულ რეალიებს". აფხაზეთის პრეზიდენტის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში ვიაჩესლავ ჩირიკბამ აღნიშნა, რომ თუ ვერ მოხერხდება შეთანხმება თბილისთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ, „ჟენევის პროცესი" დამთავრდება: „ჩვენ არ გვინდა მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის, იმისთვის, რომ ვინმემ უბრალოდ ნიშანი დასვას – პროცესი მიმდინარეობსო. ჩვენ არ ვაპირებთ პოლიტიკური პროცესის იმიტაციას". შემდეგი რაუნდი ჟენევაში დანიშნულია 30 მარტისთვის, ეს შეხვედრა შეიძლება გახდეს განმსაზღვრელი დისკუსიების გაგრძელების პერსპექტივის თვალსაზრისით.

საქართველოს აინტერესებს ნებისმიერი კონტაქტი საერთაშორისო დონეზე, რამაც შეიძლება მოახდინოს გავლენა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოწესრიგების პროცესზე. „ჩვენთვის ყაზახეთის თავმჯდომარეობა ეუთოში მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ დსთ-ს ქვეყანამ შესანიშნავად იცის პოსტსაბჭოთა კონფლიქტების სპეციფიკა", – განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მოწესრიგების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ. მისი აზრით, რუსეთის მოქმედებამ საქართველოში „შეიძლება აიძულოს ყაზახეთი დაფიქრდეს: რა იქნება, რომ მოსკოვმა მათთან დაკავშირებითაც გამოიყენოს ანალოგიური საშუალებები, მაგალითად, შეეცადოს გაითამაშოს რუსულენოვანი მოსახლეობის საკითხი. ამავე დროს, ბატონმა მალაშხიამ აღიარა, რომ საქართველოში ეუთოს მისიის მუშაობის აღდგენის შანსი უმნიშვნელოა.

გაეროში ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი, დღეს კი ოპოზიციური „ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია, რომელიც ამ დღეებში ესაუბრა მიუნხენში ევროპაში უშიშროების კონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს, მიიჩნევს, რომ რუსეთთან მოლაპარაკებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციებმა. „რაც მეტი იქნება დაძაბულობა ურთიერთობაში რუსეთსა და საქართველოს შორის, მით უფრო შორს გადაიდება საქართველოს ინტეგრაცია ევროპაში, – განაცხადა ოპოზიციონერმა ტელეკომპანია „კავკასიაზე", – არავის სურს ევროპაში – დაპირისპირება მოსკოვსა და თბილისს შორის გადაიტანოს თავიანთ ტერიტორიებზე".

მიხეილ ვიგნანსკი

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

## დედამიწის ზურგზე



**ვაშინგტონმა მოსკოვი დაამშვიდა: აშშ არ აპირებს შავ ზღვაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განთავსებას**

ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ფარგლებში ამერიკელებს სურთ გამოიყენონ საზღვაო ბაზირების 8 გადამტაცი ბატარეა. მაგრამ მათ არ იციან, სად განათავსებენ მას. ვარიანტებს შორის ახსენებენ ხმელთაშუა ზღვასა და ჩრდილოეთის ზღვას. ამერიკამ ასეთი სახით უპასუხა მოსკოვის თხოვნას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით ბულგარეთსა და რუმინეთში.

* * *



**ინდოელმა მაოისტებმა 24 პოლიციელი მოკლეს ამხანაგებზე შურისძიების მიზნით**

დაახლოებით 100 ექსტრემისტი თავს დაესხა გასამხედროებული პოლიციის ბანაკს დასავლეთი ბენგალიის შტატში. ბანაკი მთლიანად გაანადგურეს აფეთქებებითა და ხანძრით. ბოევიკების მეთაურმა განაცხადა, რომ თავდასხმა შურისძიების აქცია იყო მაოისტების წინააღმდეგ ინდოეთის უშიშროების მასობრივი ოპერაციების გამო.

* * *

**ამერიკელმა და პაკისტანელმა სპეცსამსახურებმა კარაჩიში შეიპყრეს „თალიბანში" მეორე პირი**



დაპატიმრებულია ავღანეთის ექსტრემისტული მოძრაობის სამხედრო ხელმძღვანელობის წევრი მოლა აბდულ განი ბარადარი. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ხელისუფლების წარმომადგენლები მოლას ყველაზე მნიშვნელოვან ბოევიკად მიიჩნევენ, რომელიც ტყვედ აუყვანიათ ავღანეთის ომის დაწყებიდან.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში უდიდესი ეროვნული დღესასწაულია: კიმ ჩენ ირის დაბადების დღე**

ყველგან მიმდინარეობს საზეიმო კრებები, მიტინგები, სპორტული შეჯიბრებები. მათ შორის ფიგურული სრიალის ოსტატების მონაწილეობით რუსეთიდან. ფხენიანში გაიხსნა კაშკაშა წითელი ყვავილების ფესტივალი სახელწოდებით „კიმჩენირია". ეს ყვავილები ყველაზე აქტიურად მოჰყავთ სახალხო არმიის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.



დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული" თუ ქვეყნის გადარჩენა?

რასაკვირველია, წითელ „ვაჟბატონებს" თავი სწორუპოვარ იდეოლოგებად მიაჩნდათ. და თუ ხელისუფლებისთვის ზრუნვაში მათ სურდათ დასწეოდნენ სტალინს, თეორიის საკითხებში მათ მოსვენებას არ აძლევდათ ილიჩი. ვარეიკისმა მთელი 66 წიგნი მოაგროვა (მის სტატიებს ხომ ვერ დაითვლიდი). აი ზოგიერთი მათგანის დასახელება: **„მოსავლიანობის გაორმაგებისთვის", „საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობისა და ვოლგა-კასპიის აუზის პარტორგანიზაციის ამოცანების შესახებ", „ძროხების, ღორების, ცხვრების, შინაური ფრინველისა და საქონლის მოშენების შესახებ მთლიან კოლექტივიზაციასთან გადასვლასთან დაკავშირებით"**. არც ხალხის მტრები არიან დავიწყებულნი, მაგალითად, ექვსნაწილა იატი ოპუსი, როგორიცაა **„ყოფილი ზინოვიევის ოპოზიციის ნაძირალების კონტრრევოლუციური საქმიანობისა და შინაპარტიული მუშაობის ამოცანების შესახებ"**. ერთხელ 1930 წლის შემოდგომაზე ცენტრალური ჟურნალის წარმადგენელი ოლქის აღმასკომის თავმჯდომარემ რიგანინმა გაოცებით ჰკითხა ვარეიკისს: **„იოსიფ მიხაილოვიჩ, ის როგორ მოახერხეთ, რომ ამ წელს, მგონი, ხუთი-ექვსი ბროშურა და წიგნი გამოეცით და გამოაქვეყნეთ სტატიები ჟურნალებსა და გაზეთებში?"** არ იყო გასაოცარი?!

### პიროვნება და მისი კულტი

სხვათა შორის, სტალინი მეტად გაორჩეულად განსხვავდებოდა ვარეიკისებისა და სხვა „ვაჟბატონებისგან". ისიც იყენებდა პრაქტიკაში თავის პიროვნების კულტს, აღიარებდა მის გარდაუვალობას. რუსეთში, სადაც ცოტა ხნის წინათ დაამხეს მრავალსაუკუნოვანი მონარქია, დიდი წუხილი იყო მეფის გამო.

ზოგიერთ ზედმეტად „თავისუფლების მოყვარულ" ინტელიგენტს უჭირს დასცინოს რუსი ხალხის სწრაფვას ბელადისკენ, მონარქისკენ. მაგრამ ამ მისწრაფების გარეშე ჩვენ ვერ დავრჩებოდით შუა საუკუნეების ურთულეს ისტორიულ პირობებში, როდესაც გვიწევდა დავპირისპირებოდით სტეფანეს შემოტევას და ერთდროულად დაგვეცვა თავი დასავლური ექსპანსიისგან. ცხადია, რუსეთი ვერ გადარჩებოდა ბელადიზმის (ვოჟდიზმის) გარეშე რევოლუციისშემდგომი არსებობის არანაკლებ რთულ პირობებში, როდესაც უნდა დაგვეძლია სამოქალაქო ომის პერიოდის ნიჰილიზმი და სწრაფი ტემპით განგვეხორციელებინა ინდუსტრიალიზაცია. სტალინმა ეს გაიგო, და მან შეძლო შეექმნა დიდი სახელმწიფო.

მართლაც, მისი კულტი უმთავრესად ქვემოდან იქმნებოდა. რევოლუციური ლიდერებისგან დაღლილ მასებს უნდოდათ სახელმწიფო ბელადი. განწყობილება, რომელიც მაშინ ბატონობდა ხალხში, შესანიშნავად აღწერა ლიტერატორმა ლ.ლიხოდეევმა: **„საჭირო გახდა მთელი ქვეყნის ლიდერი, რომელიც იქნებოდა არც დიდი და არც პატარა, სწრაფი ანგარიშგებაში და თბილი მოფერებაში, რომ ყოფილიყო წარმოშობით მმართველი, პირდაპირი ცბიერების გარეშე, ზომიერად განსწავლული, ბატონური ცბიერების გარეშე, რომ არ გაყოყოჩებულიყო, ეჭამა ღარიბული პურმარილი და დაეცვა ხალხი სიბილწისგან. საჭირო გახდა ბელადი შეუხედავი, როგორც ქვეითი ჯარისკაცი, ბატონური ენამჭევრობის გარეშე, უგუნური თაღლითობის გარეშე, დაფარული სიცრუის გარეშე. საჭირო გახდა უფროსი მთელს გროვაზე – მისი ფესვებიდან ფოთლებამდე, მართალი თავისი ბუნებრიობით, რომ დასასჯელი დასაჯოს, დასანდობი დაინდოს, რომ გაერკვეს, ვინ რას აკეთებს ხელისუფლებაში, რომ თქვას სანუკვარი სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიყოთ. საჭირო გახდა ბელადი ჩოფურა, სიარულში აუჩქარებელი, ხმელი მარჯვენათი, არაუხვსიტყვა, გულთბილი, თუმცა სალახობის გარეშე. საჭირო გახდა დიდმპყრობელური მამაკაცი მრავალეროვნულ სახელმწიფოში, მაგრამ არა იუდეველი, ღმერთმა დაგვიფაროს, ვინაიდან ოცდაათ ვერცხლად გაგყიდის, და არც რუსი, ვინაიდან ლოთობით გაანაგებს ქვეყანას"**.

იმ პირობებში პიროვნების კულტისთვის თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. მაგრამ სტალინი, წითელი „ვაჟბატონებისგან" განსხვავებით, შესანიშნავად ათვითცნობიერებდა, რომ თაყვანისცემა ეკუთვნოდა არა იმდენად მას, რამდენადაც სახელმწიფოს სიმბოლოს, სახელმწიფო ხელისუფლებას. ის ზოგჯერ თავის თავზე მესამე პირში ლაპარაკობდა, ვინაიდან მხედველობაში ჰქონდა ერთგვარი სახელისუფლო მითი, რომელიც ისტორიის ნებით განსახიერდა და პერსონიფიცირებულ იქნა ქართველ სემინარისტ სოსოში. ერთხელ, როდესაც თავის შვილ ვასილს ტუქსავდა, სტალინმა ჰკითხა: **„შენ ფიქრობ, რომ სტალინი ხარ?** შენ ფიქრობ, რომ მე სტალინი ვარ?" და პასუხად თითი თავის პორტრეტს წაჰკრა: **„სტალინი — ეს ისაა!"**

სტალინს არ სურდა კულტის, როგორც ასეთის, ლიკვიდაცია, თუმცა ხშირად წინააღმდეგი იყო უზომო გაბუქებისა. ცოტამ თუ იცის, მაგრამ 1925 წელს ის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო ცარიცინისთვის მისი სახელის მინიჭებისა. რუსეთის სახელმწიფო სოციალურ-პოლიტიკურ არქივში ინახება სტალინის წერილი სკპ (ბ)ძ ცარიცინის გუბერნიის კომიტეტის მდივნის პ.ბ.შებოლდაევისადმი. აი მისი ტექსტი: **„გავიგე, რომ უნდათ ცარიცინს სტალინგრადი დაარქვან. გავიგე აგრეთვე, რომ მინინი (სამოქალაქო ომში — ა.ე.) ცარიცინის დაცვის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ცდილობს მიაღწიოს მისთვის მინინგრადის დარქმევას. ვიცი ასევე, რომ გადადეთ საბჭოების ყრილობა ჩემი ჩამოუსვლელობის გამო, თანაც ფიქრობთ სახელის გადარქმევის პროცედურა მოაწყოთ ჩემი თანდასწრებით. ეს ყოველივე ქმნის უხერხულ მდგომარეობას თქვენთვისაც, და განსაკუთრებით ჩემთვის. ძალიან გთხოვთ, მხედველობაში იქონიოთ, რომ: 1) მე არ ვცდილობდი და არ ვცდილობ ცარიცინის სტალინგრადად გადარქმევას; 2) ეს საქმე დაიწყეს უჩემოდ და ჩემს დაუკითხავად; 3) თუ ასე აუცილებელია ცარიცინისთვის სახელის გადარქმევა, დაარქვით მას მინინგრადი ან სხვა რაიმე სახელი; 4) ხოლო თუ უკვე ქვეყანას მოსდეთ სტალინგრადთან დაკავშირებით და ახლა ძნელია დაწყებულ საქმეზე უარის თქმა, ნუ ჩამრთავთ მე ამ საქმეში და ნუ მოითხოვთ ჩემს დასწრებას საბჭოების ყრილობაზე — თორემ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მე ვცდილობ სახელის შეცვლას; 5) მერწმუნეთ, ამხანაგო, რომ არ მსურს არც დიდების მოხვეჭა, არც პატივი და არ მინდა, რომ შეიქმნას საპირისპირო შთაბეჭდილება** („წყარო", 3.2003ძ. მაგრამ გაირკვა, რომ შებოლდაევმა უკვე მოასწრო ყველასთვის შეტყობინება სახელის გადარქმევის შესახებ, გაიყვანა ეს გადაწყვეტილება საქალაქო და სამაზრო ყრილობების მეშვეობით, აგრეთვე აიღო მხარდაჭერის პირობა მათგან და ორგანიზებული „უპარტიო მუშათა კრებებისგან". უეჭველია, ეს „ვაჟბატონი" ცარიცინს არქმევდა სტალინგრადს იმ იმედით, რომ დროთა განმავლობაში მიაღწევდა თავისი სახელის დარქმევასაც რომელიმე ქალაქისთვის. გავა ათი წელი და ეს მლიქვნელი გახდება XVII ყრილობაზე რეგიონალების შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.




მოვიყვან კიდევ რამდენიმე ფაქტს: აი ნაწყვეტი სტალინის წერილიდან „დეტიზდატს" (საბავშვო გამომცემლობაძ: **„გადაჭრით წინააღმდეგი ვარ წიგნის — „მოთხრობები სტალინის ბავშვობაზე" — გამოცემისა... წიგნაკს აქვს ტენდენცია ჩავუნერგოთ საბჭოთა ბავშვების (და ხალხისაც საერთოდ) შეგნებაში პიროვნებათა, ბელადების, უცოდველი გმირების კულტი. ეს სახიფათოა, საზიანოა. „გმირებისა" და „ბრბოს" თეორია არის არა ბოლშევიკების, არამედ ესერების თეორია. გმირები ქმნიან ხალხს, ბრბოდან აქცევენ ხალხად — ამბობენ ესერები. ხალხი ქმნის გმირებს — უპასუხებენ ესერებს ბოლშევიკები. წიგნაკი ესერების წისქვილზე ასხამს წყალს... გირჩევთ წიგნი დაწვათ"**.

1945 წელს დიდი გამარჯვების შემდეგ სტალინი დააჯილდოვეს საბჭოთა კავშირის გმირის ვარსკვლავით. მაგრამ ბელადმა უარი თქვა ჯილდოს მიღებაზე, აღნიშნა, რომ ის ამის ღირსი არაა. ვარსკვლავი ეგრევე დარჩა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილებაში.

როდესაც 1946 წელს გამოსაცემად მოამზადეს სტალინის ავტობიოგრაფია, სტალინი ამ წიგნით მეტად უკმაყოფილო იყო. მან გვარიანად მიუზღო მთელ ავტორთა კოლექტივს თავისი საკუთარი პერსონის განდიდებისთვის. ავტობიოგრაფიის მაკეტში საკუთარი ხელით შლიდა ბევრ საქებარ ფრაზას თავისი მისამართით. ეს ჩასწორება შემონახულია და მისი გაცნობა შეიძლება „ი.ბ.სტალინის თხზულებათა კრებულის" მე-16 ტომში, რომელიც პროფესორმა რ.კოსოლაპოვმა გამოსცა 1997 წელს. სხვათა შორის, თვით ბელადის სიცოცხლეში გამოვიდა მის თხზულებათა მხოლოდ 13 ტომი. უკანასკნელი მე-13 ტომი — 1934 წლის იანვრის სტატიით. ასეთი იყო სტალინის დამოკიდებულება საკუთარი პერსონისადმი.

1949 წელს სტალინი ა.მ.გერასიმოვის პორტრეტის — „ი.ბ.სტალინი ა.ა.ჟდანოვის კუბოსთან" სტალინურ პრემიაზე წარდგენის წინააღმდეგ წავიდა. მისი არგუმენტი იყო: **„ასე როგორ შეიძლება: სულ სტალინი და სტალინი"**. ბელადმა აკრძალა თავისადმი მიძღვნილი რამდენიმე დოკუმენტური ფილმის ჩვენება. დოკუმენტურ ფილმში საქართველოს შესახებ მან მოითხოვა მოეხსნათ სათაური „ფილმი დიდი სტალინის სამშობლოს შესახებ". უფრო ადრე, 30-იან წლებში მან გააუქმა სპექტაკლის —„სტალინის სიჭაბუკე" პრემიერა, რომელიც უნდა გამართულიყო კ.ს.სტანისლავსკის სახელობის დრამატულ თეატრში.

ეჭვი არ არის, რომ სტალინი მთელი თავით მაღლა იყო ყველა იმ ძველ ბოლშევიკზე, ვინც თბილად მოეწყო სამხარეო კომიტეტების კაბინეტებში. სავსებით სწორად თქვა შოლოხოვმა: **„იყო კულტი, მაგრამ იყო პიროვნებაც"**. ხოლო რეგიონულ ბარონებთან დაკავშირებით პიროვნებები ქაჩავდნენ კულტიკების დონეზე. და მეტად სიმბოლურია, რომ სტალინის კულტი „გამოააშკარავა" ხრუშჩოვმა, რომელიც ასევე იყო ერთ-ერთი წითელი „ვაჟბატონი". გამოააშკარავა იმისთვის, რომ დიდი ადამიანის თაყვანისცემის ნანგრევებზე შეექმნა თავისი საკუთარი კულტი — სასაცილო და უაზრო.

## თავი 4.
## სახელმწიფო მოღვაწე და რეფორმატორი

### სოციალისტი უტოპიის წინააღმდეგ

ახლა ვნახოთ — რა უნდოდა „ნაციონალბოლშევიკების" ჯგუფს, რომელსაც სათავეში სტალინი ედგა. ჯგუფმა კურსი აიღო ძლიერი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნაზე, რომელიც აალორძინებდა ძლევამოსილების ტრადიციას ახალ დონეზე. სტალინის ეროვნული პატრიოტიზმი გამოვლინდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც სოციალიზმთან შერწყმული სახელმწიფო პატრიოტიზმი. თავად მარქსიზმი, მთლიანობაში, თავისი მიზნებით, იოსებ სტალინს აშკარად არ აძლევდა ხელს. სახელმწიფო მოღვაწე სტალინს არაფრით არ შეიძლებოდა მოსწონებოდა სახელმწიფოსა და ერის კვდომის იდეა. ჯერ კიდევ 1929 წელს მან განაცხადა, რომ სოციალიზმის მშენებლობა არა თუ არ მოსპობს ეროვნულ კულტურებს, არამედ, პირიქით, განამტკიცებს მათ.

სტალინი კატეგორიული წინააღმდეგი იყო მარქსისტული დებულებისა ერების კვდომის შესახებ კომუნიზმის დროს. ნაშრომში **„მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები"** (1950 წელიძ ის ამტკიცებდა, რომ ერი და ეროვნული ენა უმაღლესი მნიშვნელობის ელემენტებია და არ შეიძლება ისინი ჩაირთონ მარქსიზმის მიერ შექმნილი კლასობრივი ანალიზის სისტემაში, ისინი კლასებზე მაღლა დგანან და არ ემორჩილებიან დიალექტიკურ ცვლილებებს, რომლებიც კლასების ბრძოლის შედეგია. უფრო მეტიც, სწორედ ერი ინახავს საზოგადოებას, რომელსაც აქუცმაცებს კლასობრივი ბრძოლა. მხოლოდ ერის წყალობით **„კლასობრივ ბრძოლას, როგორი მწვავეც არ უნდა იყოს, არ მივყავართ საზოგადოების დაშლამდე"**. მაგრამ ერი — ეს არა მხოლოდ სოციალური ერთიანობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. XIX საუკუნის გერმანელი ნაციონალისტი რომანტიკოსების (როგორიც იყო ა.მიულერიძ კვალდაკვალ, სტალინი აცხადებს, რომ ერი და ენა ერთ მთლიანობაში აკავშირებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამიტომ ერი და ენა უფრო მეტს იცოცხლებენ, ვიდრე კლასები და მშვენივრად შენარჩუნდებიან „უკლასო საზოგადოებაში".

თავის შრომებსა და საჯარო გამოსვლებში ის არაერთგზის, თუმცა გაბუნდოვანებული ფორმით, ედავებოდა „კლასიკოსებს" — კ.მარქსსა და ფ.ენგელსს. განსაკუთრებული კრიტიკით ეპყრობოდა ენგელსს, რომელიც ყველაზე გასაგებად და დასაბუთებულად ამტკიცებდა სახელმწიფოს კვდომის გარდაუვალობას სოციალიზმის მშენებლობის კვალობაზე. ნაშრომში **„ლენინიზმის საკითხები"** სტალინი ამტკიცებდა, რომ ენგელსის ეს ფორმულა სწორია, თუმცა არა აბსოლუტურად. ის მისაღებია მხოლოდ იმ პერიოდისთვის, როდესაც სოციალიზმი გაიმარჯვებს მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სტალინს სულაც არ სურდა სოციალიზმის გამარჯვება დასავლეთში, მის მიერ ენგელსის სისწორის აღიარება ატარებს უსათუოდ ფორმალურ ხასიათს.

ბელადმა გამოიყენა მარქსიზმის ანტისაბაზრო „ტექნოლოგიები", ვინაიდან ისინი ეხმარებოდნენ „აბსოლუტური წესრიგის" მშენებლობაში, რაც არაფრით იყო დამოკიდებული ფულად-სასაქონლო ურთიერობათა ქაოსზე. სტალინის სოციალიზმი — ესაა სახელმწიფო სოციალიზმი, რომელიც ედავებოდა კაპიტალიზმს სწორედ საზოგადოებრივი პროცესების მართვადობის საკითხში. სტალინი კომუნისტი არ ყოფილა, ვინაიდან კომუნიზმი, რაც თავად სახელწოდებიდანაც მოსჩანს, გულისხმობს კომუნის — მთლიანად თვითმართვადი საზოგადოების შექმნას. ნაშრომში **„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები"** სტალინი აღიარებდა კომუნიზმის მშენებლობის შესაძლებლობას მტრული კაპიტალისტური გარემოცვის დროსაც კი. ესე იგი, მისი წარმოდგენის თანახმად, „კომუნიზმი" სავსებით შეეხამება ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც უპირისპირდება სერიოზულ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს. თავისთავად, ასეთ „კომუნიზმს" არაფერი აქვს საერთო მარქსის, ენგელსისა და ლენინის კომუნიზმთან.

1939 წელს სკპ (ბძ XVIII ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოსვლის დროს ბოლშევიკური პარტიის ბელადმა აშკარად გამოაცხადა, რომ ენგელსისა და ლენინის გამონათქვამებს სახელმწიფოს კვდომასთან დაკავშირებით პრაქტიკულად არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საბჭოთა კავშირთან. მან აღნიშნა **„ჩვენს ამხანაგებს შორის სრული სიცხადის უქონლობა თეორიის ზოგიერთ საკითხში, ერთგვარი გაურკვევლობაა ამ საკითხებში, რომლებსაც აქვთ სერიოზული პრაქტიკული მნიშვნელობა. მხედველობაში მაქვს საკითხი სახელმწიფოს შესახებ საერთოდ, განსაკუთრებით ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ"**. სტალინი ეკამათებოდა ორთოდოქსულ მარქსისტებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ექსპლუატატორული და მტრული კლასების არარსებობას აუცილებლად თან უნდა ახლდეს სახელმწიფოს კვდომაც.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 14-29.

ვანკუვერი – 2010

# ოლიმპიადის ტაბლო

**ტრამპლინიდან ხტომა**
1. სიმონ ამანი (შვეიცარია), 2. ადამ მალიში (პოლონეთი), 3. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია).

**ციგურებით რბენა, 5000 მ. კაცები.**
1. სვენ კრამერი (ჰოლანდია), 2. სინ-ჰონ ლი (სამხრეთ კორეა), 3. ივან სკობრევი (რუსეთი).




**ბიატლონი. 7,5 კმ. ქალები.**
1. ანასტასია კუზმინა (სლოვაკეთი), 2. მაგდალენა ნოინერი (გერმანია), 3. მარი დორენი (საფრანგეთი).

**შორტ-ტრეკი. 1500 მ. კაცები.**
1. იუნ-სუ ლი (სამხრეთ კორეა), 2. ანტონ აპოლო ონო (აშშ), 3. ჯეი არ ჩელსკი (აშშ).

**ფრისტაილი. მოგული. ქალები.**
1. ჰანა კირნი (აშშ), 2. ჯენიფერ ჰილი (კანადა), 3. შენონ ბერკი (აშშ).

**ბიატლონი. 10 კმ. კაცები.**
1. ვენსან ჟეი (საფრანგეთი), 2. ემილ-ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია), 3. იაკობ ფაკი (ხორვატეთი).

**ციგურებით რბენა. 3000 მ. ქალები.**
1. მარტინა საბლიკოვა (ჩეხეთი), 2. შტეფანი ბეკერატი (გერმანია), 3. კრისტინა გროვსი (კანადა).

**სათხილამურო სპორტი. ტრამპლინი +10 კმ.**
1. ჯეისონ ლამი – შაჰუი (საფრანგეთი), 2. ჯონ სპილეინი (აშშ), 3. ალესანდრო პიტინი (იტალია).

**ციგაობა. ერთადგილიანი**
1. ფელიქს ლოხი (გერმანია), 2. დავიდ მიოლერი (გერმანია), 3. არმინ ცოგელერი (იტალია).

**ფრისტაილი. მოგული. კაცები.**
1. ალექსანდრ ბილოდო (კანადა), 2. დეილ ბეგ-სმიტი (ავსტრალია), 3. ბრაიან უილსონი (აშშ).

**ციგურებით სწრაფრბენა. 500 მ. კაცები.**
1. ტაი ბუმ გო (სამხრეთ კორეა), 2. კეიხირო ნაგასიმა (იაპონია), 3. იოძი კატო (იაპონია).

**ფიგურული სრიალი. წყვილები.**
1. სიუე შენი – ჰონგბო ჟაო (ჩინეთი) 2. ცინ პანი – ცზიანი ტონი (ჩინეთი), 3. ალიონა სავჩენკო – რობინ შოლკოვი (გერმანია).

**თხილამურებით 15 კმ. რბოლა. თავისუფალი სტილი. კაცები.**
1. დარიო კოლონია (შვეიცარია), 2. პიეტრო პილერკოტრერი (იტალია), 3. ლუკაშ ბაიერი (ჩეხეთი).

**თხილამურებით 10 კმ. რბოლა. თავისუფალი სტილი. ქალები.**
1. შარლოტ კალა (შვედეთი), 2. კრისტინა შმიგუნ-ვიახი (ესტონეთი), 3. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია).

**სნოუბორდი. კროსი. კაცები.**
1. სეტ უესტკოტი (აშშ), 2. მაიკ რობერტსონი (კანადა), 3. ტონი რამუანი (საფრანგეთი).

**სწრაფდაშვება**
1. დიდიე დეფაგო (შვეიცარია), 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია), 3. ბოდე მილერი (აშშ).




საერთო გუნდური ჩათვლა (მედლები)

| | ო. | ვ. | ბ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 3 |
| აშშ | 2 | 2 | 4 | 8 |
| სამხრ. კორეა | 2 | 1 | 0 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| გერმანია | 1 | 3 | 1 | 5 |
| კანადა | 1 | 2 | 1 | 4 |
| ჩინეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 2 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |

კალათბურთი

# ტეხასური რეკორდი

**პროფესიონალ კალათბურთელთა წლევანდელი „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი გინესის რეკორდების წიგნში შევიდა – ტეხასის შტატის ქალაქ არლინგტონის „კოვბოიზ სთედიუმზე“ გამართულ თვალსასეირო სანახაობას 108 713 მაყურებელი დაესწრო. ძველი მიღწევა – 78 129 გულშემატკივარი 2003 წლის დეკემბრით თარიღდებოდა და იგი დეტროიტის „ფორდ ფილდზე“ მოწყობილი სტუდენტური ასოციაციის შეხვედრის „მიჩიგანი“ – „კენტუკი“ დროს დამყარდა.**

**„აღმოსავლეთი“ – „დასავლეთი“ 141:139**

**(37:34, 39:35, 42:40, 23:30)**

**„აღმოსავლეთი“:** *უეიდი – 28 ქულა, 6 მოხსნა, 11 პასი, 5 ჩაჭრა, ჯეიმსი – 25 ქულა, 5 მოხსნა, 6 პასი, 4 ჩაჭრა, ბოში – 23 ქულა, 10 მოხსნა, ჰოვარდი – 17 ქულა, 5 მოხსნა, 3 დაფარება, ჯონსონი – 10 ქულა, როუზი – 8 ქულა, 3 ჩაჭრა, ჰორფორდი – 8 ქულა, პირსი – 8 ქულა, რონდო – 4 ქულა, 5 პასი, გარნეტი – 4 ქულა, ლი – 4 ქულა, უოლესი – 2 ქულა.*

**„დასავლეთი“:** *ენტონი – 27 ქულა, 10 მოხსნა, ნოვიცკი – 22 ქულა, ბილაფსი – 17 ქულა, 5 პასი, დიურანტი – 15 ქულა, 5 მოხსნა, უილიამსი – 14 ქულა, 6 პასი, 4 ჩაჭრა, გაზოლი – 13 ქულა, 6 მოხსნა, სტაუდმაიერი – 12 ქულა, 10 მოხსნა, რენდოლფი – 8 ქულა, 6 მოხსნა, ნეში – 4 ქულა, 13 პასი, კამანი – 4 ქულა, დანკანი – 3 ქულა, კიდი.*




საოქმო მონაცემები ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით დაუვიწყარი „ოლ სტარზის“ შესახებ, ამიტომ მხოლოდ მის საკვანძო ეპიზოდებზე შევჩერდებით. მაქსიმალურ უპირატესობას გამარჯვებულებმა მესამე მეოთხედში მას შემდეგ მიაღწიეს, რაც დუაიტ ჰოვარდმა ბურთის მორიგი „ჩატენვით“ ალაფრთოვანა აუდიტორია. დასავლეთელებმა ანგარიში ბოლოსწინა წუთზე გაათანაბრეს, როცა ჩონსი ბილაფსმა სამქულიანი ჩააგდო – 137:137, თუმცა, გადამწყვეტი სიტყვა მაინც „აღმოსავლეთმა“ თქვა – „ტორონტოს“ თავდამსხმელმა კრის ბოშმა უკანასკნელ წამებზე ორივე საჯარიმო ტყორცნა გამოიყენა.

აქვე იმასაც გაუწყებთ, რომ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ „მაიამის“ მცველი დუეინ უეიდი აღიარეს.

ლეგიონერი

# აჭენინებზეც ყოჩაღობს



**იტალიაში გამართულ პრესტიჟულ ახალგაზრდულ ტურნირ „ვიარეჯო ქაფზე“ იქაური „ემპოლის“ ქართველმა ლეგიონერმა ირაკლი შეყილაძემ გაიბრწყინა. ტოსკანური კლუბის საუკეთესო ბომბარდირმა 48-გუნდიანი ასპარეზობის შვიდ მატჩში მეტოქეებს ოთხი გოლი გაუტანა, მათ შორის ერთი – „ფიორენტინას“ და მხოლოდ ტურინის „იუვენტუსის“ ამომავალ ვარსკვლავ პაოლო იმობილის ჩამორჩა – 10 ბურთი.**

სხვათა შორის, ფინალში სწორედ აღნიშნული კლუბები შეხვდნენ ერთმანეთს და გამარჯვება „ბებერმა ქალბატონმა“ მოიპოვა – 4:2, არადა, გადამწყვეტ შეხვედრამდე ჩვენი თანამემამულის პარტნიორებს მხოლოდ ორი გოლი ჰქონდათ გაშვებული.

დავძენთ, რომ 21-წლამდელ „ჯვაროსანთა“ თავდამსხმელი მინდორზე 32-ე წუთზე შევიდა და ამჯერად მხოლოდ ყვითელი ბარათით „გამოიჩინა თავი“.

კრივი

# ემზადებიან



**საქართველოს მოკრივეთა ნაკრები წლეულს პირველ საწვრთნელ შეკრებაზე ბაკურიანში იმყოფებოდა. 23 თებერვლიდან მთავარი მწვრთნელი რამაზ ფალიანი შეგირდებს გაფართოებული შემადგენლობით დუშეთში მიიწვევს.** 30 სპორტსმენი ორი კვირის განმავლობაში იქ მოემზადება, 9 მარტს კი 6-კაციანი გუნდი ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრება. ამ შეჯიბრების შემდეგ ქართველი მოკრივეები აზერბაიჯანელ და სომეხ სპორტსმენებთან ერთად გაივლიან ერთობლივ წვრთნას, აპრილში კი ერევნის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ. იქვე დებიუტი ორ ქართველ გოგონასაც ექნება. ყოველივე ზემოაღნიშნული ღონისძიებები ევროპის ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადებას ემსახურება.

ინტერნეტიდან

## ლინარესის ტრადიციული



**ესპანეთის ქალაქ ლინარესში გაიხსნა ტრადიციული, 21-ე კატეგორიის, ორწრიანი საჭადრაკო სუპერტურნირი. კენჭისყრის მიხედვით მონაწილენი ასე განლაგდნენ (ფრჩხილებში მითითებულია ფიდეს ბოლო რეიტინგის ქულები): 1. ფრანცესკო ვალეხო– (ესპანეთი, 2705), 2. ლევონ არონიანი (სომხეთი, 2781), 3. ბორის გელფანდი (ისრაელი – 2761), 4. ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი – 2759), 5. ალექსანდრე გრიშჩუკი (რუსეთი, 2736), 6. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2805).**

პირველ ტურში სამივე პარტია ყაიმით დამთავრდა. „მშვიდობიანად“ მორიგდნენ არონიანი-გრიშჩუკი, ვალეხო – ტოპალოვი, გელფანდი – გაშიმოვი. მეორე ტურში გრიშჩუკმა დაამარცხა გელფანდი, ტოპოლოვმა – გაშიმოვი, ყაიმზე შეთანხმდნენ ვალეხო და არონიანი.

## პატრიოტიზმის უქონლობისთვის?

**მთელი შემადგენლობით დაითხოვეს ფეხბურთში ბენინის ეროვნული ნაკრები. გადააყენეს 5-კაციანი მწვრთნელთა შტაბი და 23 მოთამაშე. ფეხბურთის ფედერაციამ მხედველობაში არ მიიღო ისიც კი, აფრიკის თასზე ნაკრები ჯგუფში მესამე ადგილზე რომ გამოვიდა და რომ წინ მხოლოდ გაუშვა შემდგომში ტურნირის გამარჯვებული ეგვიპტის და ნახევარფინალისტის ნიგერიის ნაკრებები.**



ასეთი მკაცრი გადაწყვეტილების მიზეზად ფედერაცია ასახელებს ფეხბურთელების არაპატრიოტობას და ტურნირის დროს ანგოლში დისციპლინის მასობრივ დარღვევას. ნაკრები, რომელსაც მიშელ დიუსიე უდგა სათავეში (**სურათზე**), თამაშობდნენ ფრანგული გუნდების მოთამაშეები, აგრეთვე ინგლისის ერთ-ერთი გუნდის მოთამაშე.

ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ახალი ნაკრების ჩამოყალიბებას „ნულიდან“ დაიწყებს.

## რაფაელიმ საბანაო კოსტიუმი ჩაიზომა



**მოდელი ბარ რაფაელი გახდა სპორტული ილუსტრირებული ჟურნალის ყოველწლიური გამოცემის ერთ-ერთი მთავარი გმირი, საბანაო კოსტიუმებს რომ უწევს რეკლამას.**

შარშან რაფაელი ისრაელელ მანეკენთან ესტი გინზბურგთან ერთად უკვე იყო ამ ჟურნალის სახე. ახლა კი მისი თანამებრძოლი იქნება ამერიკელი ჩოგბურთელის ენდი როდიკის მეუღლე ბროკლინ დეკერი.

გადაღებები ამ პრესტიჟული გამოცემისთვის მალდივის ტროპიკულ პლაჟებზე მიმდინარეობდა.

◎ წარდგენა

# სასოება „ბერმუხის ყლორტებისა“

**საერო აკადემიაში პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის, კულტურისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ქართული კლასიკური ნაწარმოებების აზერბაიჯანულ ენაზე მთარგმნელის, ინგილო მამედ გიულის, იგივე მამია ენულელის ახლადგამოცემული ისტორიულ-დოკუმენტური წიგნის „ბერმუხის ყლორტების“ წარდგენა გაიმართა.**

სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდიუმის ხელმძღვანელმა ვლადიმერ რამიშვილმა.

წიგნის ყოველი სტრიქონი ასახავს საინტერესო ფაქტებს მეფის რუსეთის პერიოდის საინგილოს (კახის, ზაქათალისა და ბელაქნის მოსახლეობის შესახებ, მათ ტკივილებს, მისწრაფებებს, ქრისტიანობისთვის ბრძოლასა და თავდადებას.

წიგნი საგულისხმოა იმ მხრივაც, რომ საინგილოში (ჰერეთშიძ ქრისტიანობისთვის ბრძოლა, კახის მოსახლეობის პარალელურად, არანაკლებად აწუხებს ზაქათლისა და ბელაქნის მოსახლეობას, უფრო მეტიც, ისინი პირველნი (სოფლის თავკაცობა და გლეხობაძ იმაღლებენ ხმას თავად ვორონცოვის წინაშე, რათა მისგან სარწმუნოებრივი დახმარება მიიღონ.

ავტორისთვის ეს ყველაფერი სისხლხორცეულია, რადგანაც საკუთარ თავზე გამოსცადა და ძველქართული საოჯახო მეტყველების გავლენით დაამთავრა ს. ალიბადის (ელისენისძ ძლივს შენარჩუნებული ქართული საშუალო სკოლა და თბილისის უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო სწავლა. მას შემდგომ აღარ მოსცილებია ჰერეთის მადლივით თანდაყოლილი ეს საფიქრალი.

სიტყვით გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ენით აუწერელი, დიდი ისტორიული ქარტეხილების ორსაუკუნოვანი, უეპარქიოდ დარჩენილი მხარე კვლავაც სუნთქავს ქრისტესთვის და მომავლისთვის.

მისი უწმინდესობის ილია II-ის და ინგილო ხალხის ძალისხმევით კვლავაც შეიქმნა ჰერეთის ეპარქია და მომავლის იმედით „მუხა კვლავაც შეიმოსება“.

წიგნის სათაურიც – „ბერმუხის ყლორტები“ სწორედ ამ სულისკვეთებას გამოხატავს.

წიგნის განხილვაში მონაწილეობდნენ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიზო ჭელიძე, წიგნის რედაქტორი მიხეილ ყულოშვილი, ბიჭიკო ზარიძე, ვლადიმერ რამიშვილი, გოგი სარაჯიშვილი, ზეზვა მედულაშვილი, საპატრიარქოს წარმომადგენელი მართა ტარტარაშვილი (იგივე თარხნიშვილი, ახალგაზრდული ჰერეთის თავმჯდომარეძ, თემურ ტარტარაშვილი და სხვ.

**მართა ტარტარაშვილი (თარხნიშვილი)**

◎ გამოვიდა

**ჩვენს თვალსაჩინო ფიზიკოს-თეორეტიკოსს, აკადემიკოს თეიმურაზ კოპალეიშვილს ახლახან 80 წელი შეუსრულდა. მართალია, ასეთი მრგვალი თარიღი იუბილარმა რატომღაც „გამოგვაპარა“, მაგრამ საკუთარ თავს კარგი „ავტოსაჩუქარი“ გაუკეთა პატარა წიგნის სახით, რომელიც მეც მისაჩუქრა.**




# იმედის უბერებლობა

„ისევ მომავლის იმედით“ – ასე ჰქვია წიგნაკს და თუ რატომ „ისევ“, ამას ავტორისავე ანოტაციიდან ვგებულობთ: „ბროშურა წარმოადგენს 1999 წელს გამოქვეყნებული ჩემი წიგნის „მომავლის იმედით“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაძ გაგრძელებას“.

ავტორს მართლაც საგულისყურო გაგრძელება გამოსვლია, სადაც თავმოყრილია როგორც აკადემიკოს თეიმურაზ კოპალეიშვილისადმი მიძღვნილი წერილები, ისე თვით იმისი შეხედულებანი საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების საკითხებზე, აკადემიკოს ალბერტ (ალეკოძ თავხელიძის მეცნიერულ შემოქმედებაზე, გია დვალის მეცნიერულ მიღწევებზე, მოგონებები შესანიშნავ ფიზიკოს-თეორეტიკოსზე, დაუვიწყარ გივი ხუციშვილზე...

შიგადაშიგ ავტორი საყვარელი ფიზიკის გარეთაც „გამოდის“ და ჩინებულად მოძღვრავს მკითხველს, მაგალითად, ასე: „ჯობია ცუდი კანონი შეასრულო, ვიდრე კარგი არ შეასრულო“...

საგანგებოდ უნდა აღვნიშნო, რომ თეიმურაზ კოპალეიშვილს ბროშურაში შეუტანია სხვადასხვა დროს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დასტამბული იმასთან დაკავშირებული ოთხი წერილი და კიდევ ერთში თბილად იხსენებს ჩვენს გაზეთს...

...დასაფასებელია ოპტიმიზმი 80 წლის იუბილარისა, რომელიც მერმისს კვლავაც იმედის თვალით გაჰყურებს. ღმერთმა ნუ გაუცრუოს ეგ იმედი ნურც იმას და ნურც სხვებს...

**თამაზ ებანოიძე**

◎ აი „ხელისუფალი!“

# ქურდული გაგების გამგებელი და დაზარალებული მოსახლეობა

**ჯერ კიდევ 2007 წელს ხელისუფლებამ მონტგომერის (ღორის ჭირისძ გავრცელების თავიდან ასაცილებლად სოფლის მოსახლეობას ღორები გაუნადგურა. როგორც შემდეგ გაირკვა, საგანგაშო ზარი ცრუ აღმოჩნდა. პირუტყვის სულადობის შემცირებით საკმაოდ მოითბეს ხელი ხორცის შემომტანებმა. სასტიკად იმატა ღორის ხორცის ფასმა. შემდგომში იგივე განმეორდა შინაურ ფრინველებთან დაკავშირებით.**

ხელისუფლება, რომელიც გულდაგულ ხოცავდა ღორსა და ფრინველს, შეშფოთებულ მოსახლეობას აწყნარებდა – ყველა თქვენგანის ზარალს ჩავინიშნავთ და კომპენსაციას აუცილებლად მიიღებთო. ეს იყო 2007 წლის ზაფხულში. მას შემდეგ დაზარალებული მოსახლეობა ამაოდ ელის ფულად დახმარებას.

ამაოდ მომლოდინეთა სიაში არიან ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირის მცხოვრებნიც. მათ არაერთხელ მიმართეს გამგებელს მალხაზ კალაიჯიშვილს, მაგრამ ამაოდ. მაშინ დაზარალებულებმა გადაწყვიტეს, სასამართლოსთვის მიემართათ ამსაქმეში მოსახლეობას „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის რეგიონალური ორგანიზაცია ეხმარება.



გამგებელმა, როგორც კი საჩივრის შესახებ შეიტყო, მსტოვრების მეშვეობით თანასოფლელებს შეუთვალა – ვინც სასამართლოში იჩივლებს, შუბლს გავუხვრეტო. თავისი მუქარა კალაიჯიშვილს არც „საინფორმაციო ცენტრის“ ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა წინაშე დაუმალავს.

არაოფიციალური ინფორმაციით, ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოსახლეობისთვის დახოცილი პირუტყვისა და ფრინველის საკომპენსაციო თანხების გაცემა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაავალა. მართალია, ადგილებზე ფულის მოძიება მოხერხდა, მაგრამ ადრესატამდე აღარ მისულა. უბრალოდ გაიფლანგა.

რაც შეეხება შუბლის გახვრეტას, კახელები თვლიან, რომ სამართალდამცავები „შავი“ სამყაროს და ე. წ. „კანონიერი ქურდების“ პარალელურად სახელმწიფოს მართვის ყველა რგოლში, სწორედ „შავი“ გაგების და საეჭვო წარსულის მქონე პირების გამოვლენისთვისაც უნდა ზრუნავდნენ.

**ზაზა ბილიხოძე**

| | |
|---|---|
| **არბიტრაჟის უწყება**<br>**საქმე №183-2009**<br>**შპს „თბილთევზს“, თბილისი, მარნეულის ქ. №42,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდივმოქმედი არბიტრაჟი **2010 წლის 23 თებერვალს, 15.00 საათზე,** მისამართზე – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“** საარბიტრაჟო სარჩელის გამო **შპს „N-CO“-ს და შპს „თბილთევზის“** მიმართ, თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.<br>**გამოუცხადებლობის შედეგები**<br>„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.<br>საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას. | **არბიტრაჟის უწყება**<br>**საქმე №186-2009**<br>**მურმან ჯალაღონია, ქუთაისი, ნიკეას №34/122,** საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდივმოქმედი არბიტრაჟი **2010 წლის 22 თებერვალს, 15.00 საათზე,** მისამართზე – თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №50, მე-2 სართული, გიბარებთ მოპასუხის სახით საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“** საარბიტრაჟო პრეტენზიის გამო **მარინე ლომაშვილის და სხვათა** მიმართ, თანხის დაკისრების და ქონების რეალიზაციის შესახებ.<br>**გამოუცხადებლობის შედეგები**<br>„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, თუ გამამართლებელი მიზეზების გარეშე მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მეორე მხარე ითხოვს განხილვის გადადებას.<br>საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 7.7 მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო 7.3 მუხლით დადგენილი წესით, არბიტრაჟის შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მისი დასწრების გარეშე. თუ მხარე საპატიო მიზეზით ორჯერ არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს შემდგომ სხდომაზე თავისი ან თავისი წარმომადგენლის სავალდებულო და აუცილებელი დასწრება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე განიხილება მისი დასწრების გარეშე. |

**ქალაქ აბაშაში თავისუფლების ქუჩა №70 სახლის მცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა**

**თამაზ აკაკის ძე ბოკუჩავა**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა**

**თამაზ აკაკის ძე ბოკუჩავა**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის ინგა დადეშიძის მამის**

**ალექსანდრე დადეშიძის**

**გარდაცვალების გამო.**

◎ ინფორმაცია

## როგორც იქნა ხანძარი ჩააქრეს

**გონიოს** ტყეში გაჩენილი ხანძარი ლოკალიზებულია. ცეცხლის სრულად ჩაქრობა მეხანძრეებმა გუშინ გამთენიისას მოახერხეს.

ადგილზე ყველა შესაბამისი სამსახური მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა. მიუვალი ადგილების გამო ხანძრის ლოკალიზება გაძნელდა.

ცეცხლმა 150 ჰექტარი ტყის ფართობი გადაწვა.

გონიო-კვარიათის საზღვარზე, ტყის მასივს ცეცხლი კვირას გაუჩნდა. ძლიერი ქარის გამო ალი რამდენიმე ათეულ ჰექტარ ტყის ფართობს მოედო.

## ცოფით დაავადებულის მდგომარეობა მძიმეა

**ქუთაისის** ინფექციურ საავადმყოფოში ცოფის დიაგნოზით 28 წლის მამაკაცი მოათავსეს.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია. ექიმების თქმით, პაციენტის გადარჩენის შანსი არ არსებობს.

ახალგაზრდა მამაკაცი წყალტუბოს მკვიდრია. ის მარტო ცხოვრობს. წინასწარი ინფორმაციით, პაციენტი ცოფით საკუთარი ძაღლისგან დაავადდა.

## თავდასხმა ოტობაიაში

**ორშაბათს**, გვიან ღამით, სოფელ პირველ ოტობაიაში აშატიების ოჯახს დაესხნენ თავს.

ოკუპანტებმა და სეპარატისტებმა ჯემალ აშატიას ოჯახიდან ფული და ძვირფასი ნივთები წაიღეს.

თავდამსხმელებმა ასევე ამოიღეს ქართული პასპორტები, რომლებიც ადგილზე გაანადგურეს.

ოჯახის უფროსმა მოახერხა ოკუპანტებისგან გაქცევა და ზუგდიდში მალულად გადავიდა (ჯემალ აშოტია ქართველმა სამართალდამცველებმა უკვე დაკითხეს).

ХО-ЭОВ-ЭНО

ვულოცავთ კოლეგას!

# რომ ისმოდეს ხმა მესხური...

**შევეჩვიეთ უკვე: შემოგვივლის თვეში ერთხელ ავთანდილ ბერიძე რედაქციაში, თავაზიანი მოკითხვის შემდეგ განუყრელი ჩემოდნიდან რამდენიმე ცალ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ახალ ნომერს „დააძრობს“, ახლო მეგობრებს ჩამოგვირიგებს და დაგვემშვიდობება.**

ასეა თვიდან თვემდე, ასეა უკვე მეთორმეტე წელიწადია, ანუ „ლიტერატურული მესხეთის“ გამოსვლიდან, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიცა და რედაქტორც ჩვენი ავთანდილია.

ძალზე ჭკვიანურად მოქცეულა მაშინ შოთა რუსთაველის სახალხო მუზეუმის აღორძინების რესპუბლიკური ფონდი, საქართველოს მწერალთა კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განყოფილება და სსიპ ახალციხის ინსტიტუტი, მთელი გაზეთის ავანჩავანობა ავთანდილ ბერიძეს რომ ანდეს. ავთანდილი ხომ თავის სამცხე-ჯავახეთზე უზომოდ შეყვარებული კაცია, ავთანდილი ხომ თავად შესანიშნავი პოეტი, გემოვნებიანი ლიტერატორი და ჟურნალისტია, ადამიანებთან ურთიერთობაში ხომ გულწრფელი და სითბოს მფრქვეველია... ჰოდა, არც შემცდარან: მეთორმეტე წელიწადია ავთანდილი და მისი კოლეგები ისეთი დონის „ლიტერატურულ მესხეთს“ უშვებენ, აქ, დედაქალაქში ბარე ორს რომ შეშურდება (ეს არ არის მარტო ჩემი აზრი).

„ლიტერატურულ მესხეთში“ დაინტერესებული


„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№2 (134) თებერვალი 2010 წელი ფასი 40 თეთრი

გამოდის მეთორმეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

8 თებერვალი – ხსენების დღე წმ. კეთილმსახურისა დავით მეფისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა და აფხაზეთისა, აღმაშენებლად წოდებულისა

მკითხველი საქართველოს ამ უძველესი კუთხის ისტორიულ წიაღსვლებსაც შეხვდება და აქაური ცნობილი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებთან ერთად, ბევრი ახალი ავტორის ნიჭიერ სტრიქონებსაც გაეცნობა.

გაზეთი ყოველთვიურია, მასალები, ცხადია, ახალციხეში მზადდება, ბეჭდვით კი აქ ბეჭდავს მას ჩვენი ავთო... და ეს ხდება, დამიჯერეთ, თითქმის ენთუზიაზმის ხარჯზე...

მაგრამ აკეთებს, მაინც აკეთებს, რადგან იცის, რა დიდი მნიშვნელობისაა, რომ დღევანდელი ქართული ლიტერატურის მაჯისცემაში ჩართული იყოს ლიტერატურული მესხეთიც...

ეს დიდი საქმეა, ჰოდა, თავის საქმეში გაუმარჯოს ჩვენს ნიჭიერ ძმას ავთანდილ ბერიძეს, რომელსაც ახლახან 60 წელი შეუსრულდა და ჩვენს მილოცვასაც, რა გასაკვირია, სიხარულით მიიღებს!

„ლიტერატურული მესხეთის“ ახალ ნომერს“ (და შენებურად თუთის ან ჭანჭურის არაყსაც) ველოდებით შენგან, ჩვენო ავთო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

დღის კალენდარი — 17 თებერვალი

ღირსისა ევაგრესი, ციხედიდის მთავარყოფილისა, ღირსისა შიო მღვიმელის თანამოღვაწისა (VIძ; ღირსისა ისიდორე პელუსიელისა (დაახლ. 436-440ძ; მღვდელმოწამისა აბრაამისა, არველელი ეპისკოპოსისა (დაახლ. 344-347ძ; ღირსისა ნიკოლოზ აღმსარებლისა, სტუდიელი იღუმენისა (868ძ; ღირსისა იოანესი, ირინოპოლელი ეპისკოპოსისა ( კილიკიაძ (IVძ; მოწამისა თეოქტისტესი; ღირსისა იასიმოს სასწაულმოქმედისა; მოწამისა იოსებ ხალეპელისა (1686ძ.


ამოდის 06.54
ჩადის 17.36


ამოდის 21.49
ჩადის 08.37

## დაიბადნენ:

**1723 – თობიას იოჰან მაიერი,** გერმანელი ასტრონომი, მთვარის მოძრაობის თეორიის შემქმნელი, გარდაიცვალა 1762 წელს.

**1766 – თომას რობერტ მალთუსი,** ინგლისელი ეკონომისტი, „ადამიანთა აბსოლუტური სიღარიბის“ თეორიის ავტორი.

**1859 – ეგნატე ნინოშვილი,** მწერალი. გარდაიცვალა 1894 წელს.

**1896 – ლუარსაბ კარბელაშვილი,** ეკონომისტი, პროფესორი, ეკონომისტთა შორის მას ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. გარდაიცვალა 1973 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1600 – ჯორდანო ბრუნო,** იტალიელი ფიზიკოსი და ფილოსოფოსი, ინკვიზიციის განაჩენით კოცონზე დაწვეს. დაიბადა 1548 წელს.

**1673 – ჟან ბატისტ მოლიერი,** გამოჩენილი ფრანგი დრამატურგი.

**1856 – ჰაინრიხ ჰაინე,** გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი.

## მოვლენები:

**1852** – სანკტ-პეტერბურგში გაიხსნა ერმიტაჟი.

**1863** – ჟენევაში დაარსდა სამხედრო ტყვეების, ავადმყოფებისა და დაჭრილების დახმარების ორგანიზაცია, შემდგომში – საერთაშორისო წითელი ჯვრის სახელით ცნობილი.

**1869** – სუეცის არხში პირველმა გემმა გაიარა.

**1870** – მისისიპი გახდა აშშ მე-9 შტატი.

**1876** – მენის შტატის მოქალაქემ ჯულიუს ვოლფმა დაამზადა თევზის (სარდინის) პირველი კონსერვი.

**1947** – „ამერიკის ხმამ“ დაიწყო მაუწყებლობა საბჭოთა კავშირზე.

**მედიანიუსი**

SIC!

# აშკარა — დაუჯერებელი



**ამ ამბიდან ჯერ ერთი თვეც არ გასულა... ჩინეთის ქალაქ ჩანჩუნის კლინიკაში დააწვინეს ასაკის შეუფერებლად განვითარებული სკოლის მოსწავლე გოგონა მშობიარობამდე რამდენიმე კვირით ადრე; 27 იანვარს კი 9 წლის მშობიარეს საკეისრო კვეთით ბიჭუნა „გამოუყვანეს“, 2750 გრ. წონისა და სავსებით ჯანმრთელი.**

მოსწავლის სახელ-გვარსა და ორსულობის ისტორიას გულდასმით მალავენ. ჟურნალისტებმა მხოლოდ იმის გაგება მოახერხეს, რომ მშობლებმა პოლიციაში დარეკეს შვილის „საგულისყურო მდგომარეობის“ თაობაზე... წესრიგის მცველები ცდილობენ ახალშობილის მამის ვინაობის დადგენას. ადგილობრივი კანონების მიხედვით იმას ავტომატურად დაადანაშაულებენ მცირეწლოვანის გაუპატიურებაში და კაი ხნითაც ჩასვამენ.

...ჩინეთი ამ ისტორიით დიდად ვერ „დაიკვეხნის“: ცხრა წლის დედანი ადრე ყოფილან ტაილანდში, სინგაპურში, რუანდასა და ბრაზილიაში. მთავარ რეკორდსმენად კი აქამდე რჩება პერუელი ლინა მედინა, რომელმაც პირველი შვილი 1939 წელს 5 წლისამ გააჩინა! ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით...

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7077 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6777 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6508 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4791 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1259 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1340 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1274 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4993 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +0 – +7 |
| ქუთაისი. | +5 – +17 |
| ბათუმი. | +11 – +17 |
| ზუგდიდი. | +2 – +15 |
| თელავი. | +1 – +7 |

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

სახლი გავზარდე, შვილი ავაშენე, ახლა როგორმე ხეც უნდა დავრგო, – ფიქრობს დეპუტატი.

* * *

– პირად ცხოვრებაში როგორ გაქვს საქმე?

– ზამთარში ცოლს გავშორდი... მას მერე ყველაფერი კარგადაა.

* * *

– ბავშვებო, აბა ყველამ დაასახელეთ თქვენი საყვარელი თითო ზმნა, – ეუბნება მასწავლებელი მოსწავლეებს.

– ძილი.

– ჭამა.

– სეირნობა...

მიხო წამოდგა:

– მერე რომ არ გამიბრაზდეთ და ოთახიდანაც არ გამაგდოთ, მასწ,



ჩემთვის საყვარელი ზმნის დასახელების ნაცვლად ასე ვიტყვი: ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

* * *

შენსაზე ისე უნდა იდგე, რომ მერე არ ჩაჯდე.

* * *

– ქვირფასო, მუცელი მეზრდება, მგონი ორსულად ვარ...

– ჰო... მე ისიც ვიცი, ვინ არის მამა.

– ვინ?!

– პურ-ფუნთუშეულის კომბინატი.

* * *

თუ გინდა პროქტოლოგის ატირება, უნდა ჰკითხო, ბავშვობაში რა პროფესიაზე ოცნებობდა.

* * *

არც სიცოცხლეა განაჩენი და არც სიკვდილი – ამნისტია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.